# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 30 სექტემბერი 2003 №184 (1955) | ფასი 50 თეთრი



# დინამოს შუშაკი უტირეს
## დიღომში შეჯანყჯაყებული გუნდი მცხეთაში წაიქცა



მცხეთა — დინამო 2:0. მცხეთელების მეორე, თემურ რაჭველიშვილის გოლმა ივო შუშაკის გულში გაიარა



# ლიგაში თამაშები გაძვირდა

# კალაძე რუსებთან ვერ ითამაშებს



საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 9 ტური

# შუშაკის სენსაციური ცრემლი

მცხეთა. 27 სექტემბერი. 17 საათი. არმაზი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 2:0 დინამო

1:0 თირქია (57), 2:0 რაქვიაშვილი (84)

| მცხეთა | დინამო |
| --- | --- |
| მცხეთა: ცინაძე, ლ. ამბიძე, გ. ქებაძე, ძაგნიძე, კირვალიძე, ლ. ქებაძე, ჩიჩუა, მუშუქია (თირქია 46), რაქვიაშვილი, ლ. ჩხაიძე, ჩილვინაძე. სათადარიგონი: თ. ოდიკაძე, გვენცაძე, თ. ჯაფარიძე, ხიდაშელი, ავალიანი, პარამონოვი. მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი | დინამო: გვარამაძე, წერეთელი (ხახვაძე 67), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, გოგობერიშვილი, კვირკველია, ბურდული, დარასელია (იაშვილი 62), ალექსიძე (მელქაძე 55), ახალაია. სათადარიგონი: ზოიძე, უქონია, კანდელაკი, ი. სამხარაძე. მწვრთნელი: ივო შუშაკი |

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), რ. ხვადაძე, მ. მაღლაკელიძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 19-16; კუთხური: 2-16; კარისკენ დარტყმა: 4-16; კარში დარტყმა: 3-11; თამაშგარე: 3-0



ეს-ესაა, თემურ რაქვიაშვილმა „დინამოს" საქმე მოუმთავრა

გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან

**ის, რაც** შაბათს „არმაზზე" მოხდა, ვერავის წარმოედგინა. პრობლემებმოგვარებული „დინამო" მცხეთას სრული შემადგენლობით ეწვია, 11-გზის ჩემპიონებმა მხოლოდ სამი ტრავმირებული — ხიზანეიშვილი, ანჩაბაძე და ბობოხიძე მოისაკლისეს.

შუშაკის სამწყსო რომ ფავორიტად ითვლებოდა, თავიდანვე ნათელი იყო. დასტურად სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა, მასპინძელთა კართან შექმნილი აურაცხელი მომენტი, თითოჯერაც შეზანზარებულ ძელ-ხარიხაც გამოდგება, მაგრამ რად გინდა — „დინამომ" ჯიგრიანად და უშიშრად მებრძოლ ახალგაზრდა მცხეთელებს ვერაფერი დააკლო, ჩინებულად მოთამაშე მეკარე გიორგი ცინაძე და ოთხივე მცველი (ამბიძე, გიორგი ქებაძე, ძაგნიძე, კირვალიძე) მეციხოვნეებივით ალუდგნენ მომხდურთ.

თამაში დაიწყო თუ არა, მცხეთელებმა უმალვე მწვავე შეტევა განახორციელეს, ლაშა ქებაძემ ძლიერად დარტყმული ბურთი გარედან მოარტყა კარის ბადეს. ამით ერთგვარად აგრძნობინეს კიდეც ჩემპიონებს, ჯაბანნი არც ჩვენ ვართო.

მერე კი „დინამო" დომინირებდა, შექმნილი საგოლე მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, ერთს ვიტყვი, პირველი ტაიმი რომ უგოლოდ დასრულდა, ბრწყინვალედ მოთამაშე ცინაძის დამსახურებაა, ორ-ორჯერ ალექსიძის და დარასელიას აულებელ დარტყმებს გაუმკლავდა, როცა უძლური იყო, ძელ-ხარიხაც კი წაეხმარა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებმა მუშუქია თირქიათი შეცვალეს. 57-ე წუთზე სწორედ ამ უკანასკნელმა გაიტანა გოლი-შედევრი და სენსაციასაც დაუდო სათავე. შეტევაზე გადასული „დინამო" მასპინძლებმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს, საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი თირქიას მიუვიდა, ბალახზე მოხტუნავე, რომ იტყვიან, ფეხზე მოავლა და გვარამაძესაც ცხრიანში გაუტანა.

ივო შუშაკი ბრწყინვალე, თუმც ალოგიკურმა გოლმა გაახელა — ჯერ ალექსიძის ნაცვლად მელქაძე შეუშვა მინდორზე, მერე დარასელია იაშვილით შეცვალა, „დინამოც" სამი ფორვარდით უტევდა. ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან იაშვილმა — სანდრო ხუთიოდ მეტრიდან ურტყამდა, მაგრამ ცინაძემ ამჯერადაც გაიგიჟა თავი.

„დინამო" შმაგად უტევდა, გატანილმა გოლმა კი „მცხეთას" თავდაჯერებულობა შემატა, რისი დასტურიც მეორე გოლია — ისევ სწრაფი კონტრშეტევა, ლაშა ქებაძემ საჯარიმოში ჩაჰკიდა, მისი სეხნია ჩხაიძე ბურთს თავით ვერ მისწვდა, თუმც დინამოელ კარლოსს მარცხენა ფლანგიდან შევარდნილი რაქვიაშვილი წამოეპარა, ბრაზილიელს დაასწრო და გვარამაძე თავურით მეორედ დაალონა — 2:0.

ეს უკვე სენსაცია იყო, დიდი მოულოდნელობა და მწარე რეალობა „დინამოსთვის". ნამატჩევს ივო შუშაკი გაოგნებული გახლდათ. ფერდაკარგულ ხორვატს სიმწრის ცრემლიც კი მოერია. უჩვეულო გარემოში, მცხეთის გამგეობის ეზოში შეკრებილ ჟურნალისტებს შუშაკმა ესღა გვითხრა: „თავადაც ნახეთ, რაც მოხდა. მიუხედავად დიდი უპირატესობისა, უამრავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეტოქემ ორჯერ დაარტყა კარში და ორივე შეაგდო. თუმც „მცხეთას" დამსახურებას არ ვუკარგავ და გულით ვულოცავ. შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება. რაც შეეხებათ ანჩაბაძეს და ბობოხიძეს, მათ დილით ვარჯიშზე მიკროტრავმები მიიღეს და თბილისშიც ამიტომ დარჩნენ."



სანდრო იაშვილის დარტყმული, რა თქმა უნდა, გოლი გიორგი ცინაძემ მოიგერია

თბილისი. 27 სექტემბერი. 17 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:1 სპარტაკი

1:0 მიქაძე (26პ), 1:1 კოტრიკაძე (65)

| ლოკომოტივი | სპარტაკი |
| --- | --- |
| ლოკომოტივი: გრიშიკაშვილი, ორბელაძე, ლ. სილაგაძე, ვაშაკიძე, რ. ონიანი, სიჭინავა, ქოქიაშვილი (ზამთარაძე 16), მიქაძე (რეხვიაშვილი 67), ხომერიკი, სირაძე, ხოსელია (მანწკავა 46). სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, უგრეხელიძე, ელენტი, ძამსაშვილი. მწვრთნელი: რევაზ არველაძე | სპარტაკი: მამალაძე, წურწუმია, ჟვანია, ჩიკვილაძე, დონდოლაძე, ალადაშვილი, ბოლქვაძე, ფირცხალავა (იმნაიშვილი 46), გ. თოდუა, ტატანაშვილი (მგელაძე 85), კოტრიკაძე (გოცირიძე 90). სათადარიგონი: მეყრილაძე, ბ. დოლიძე, ებრალიძე. მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი |

გაფრთხილება: დონდოლაძე (26)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. ხონიკაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

ჯარიმა: 4-13; კუთხური: 2-1; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 2-2; თამაშგარე: 1-0

# რატომ დაიზღაზნებით? ფორა იყო, ძმობა არა

დავით თავართქილაძე

**ხარისხი** იქით იყოს და, უილაჯო, უჯიგრო და უნიათო თამაშს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში იშვიათად თუ შეესწრებით — ეს მატჩი სწორედ ასეთი გამონაკლისი გახლდათ.

„ლოკომოტივისთვის" ეს არ იყო პირველი უჯიგრო თამაში — რკინიგზელებმა თითქმის ასევე ითამაშეს "მცხეთასთან" და „ტორპედოსთან". თუმცა მაშინ თუ წააგეს, ახლა ფრეს გამორჩნენ.

ლოკომოტიველთა დამრიგებელი რევაზ არველაძე სამი წლის წინ თბილისის „დინამოს" წვრთნიდა და მისი გაწვრთნილი გუნდი მაშინ სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა, ვიდრე ახლანდელი „ლოკომოტივი". იმ „დინამოდან" „ლოკომოტივში" ახლა ექვსი ფეხბურთელი ირიცხება — სოსო გრიშიკაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, რევაზ ქემოკლიძე, ზაზა ზამთარაძე, თენგიზ სიჭინავა და გიორგი მიქაძე, რაც პარადოქსს კიდევ უფრო აძლიერებს — „ლოკომოტივი" „სპარტაკთან" მართლაც უსულგულოდ დადიოდა მინდორზე.

„სპარტაკი", რომელიც მეტოქესთან შედარებით გამოუცდელი, ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ქების ღირსია. ვასილ ჭეიშვილმა წინა მატჩებისგან განსხვავებული ტაქტიკით ითამაშა და „ლოკომოტივთან" ქულა აიღო.

პირველ ტაიმში „ლოკომოტივმა" ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნა და გოლსაც გამორჩა — ლევან ხომერიკის თავურს კარში ჩამდგარი ლაშა დონდოლაძე ხელით გადაეფარა, მაგრამ ბურთი მაინც გაეხვა ბადეში. თუმცა მატჩის არბიტრმა ავთანდილ შალამბერიძემ გოლი არ ჩათვალა და პენალტის დარტყმა ბრძანა, რომელიც გიორგი მიქაძემ ზუსტად შეასრულა.

„სპარტაკი" შესვენებამდე ორი დარტყმით გამოირჩა — მიხეილ კოტრიკაძეს გრიშიკაშვილმა აულო, ხოლო შალვა ფირცხალავას მიზანმა უმტყუნა.

მეორე ტაიმში გიორგი მანწკავამ სოლო რეიდი იკისრა და ხომერიკი პირისპირ შეატოვა ზურაბ მამალაძეს, მაგრამ რკინიგზელთა ფორვარდმა ააცილა.

„სპარტაკმა" კი ასე გაათანაბრა — კახა ალადაშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა და კოტრიკაძემ ახლოდან აულებელი თავური დაურტყა გრიშიკაშვილს.

დარჩენილ დროში „ლოკომოტივმა" ერთი სახიფათო იერიშიც კი ვერ განახორციელა — აკაკი და რონალდ ჩხაიძეების გუნდთა მატჩი სენსაციური ფრით დასრულდა.

*ვასილ ჭეიშვილი:* შემტევი ფეხბურთის მომხრე ვარ, მაგრამ შეტევა დაცვიდანაც შეიძლება, რამაც გაამართლა. „ლოკომოტივმა" თავისებური ფორა მოგვცა — ძალიან თავდაჯერებული გამოვიდა მოედანზე. მადლობას ვუხდი ჩემს ფეხბურთელებს — მათ გაშვებული გოლის შემდეგ გული არ გაუტეხიათ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს „ძმური" თამაში არ ყოფილა.

### გერმანია
II ბუნდესლიგა. VII ტური
მაინცი 1:1 კარლსრუე

### ნორვეგია
ტიპელიგა. XXII ტური
ვიკინგი 0:1 ოდ გრენლანდი

### შვედეთი
ალსვენსკა. XXIII ტური
ელფსბორგი 2:1 ჰალმსტადი
ჰამარბი 7:0 ენჩიოპინგი
ლანდსკრონა 3:2 სუნდსვალი
სუპერეტა. XXVI ტური
ნორჩიოპინგი 0:3 ჰეკენი
ვესტეროსი 0:2 ბრომაპოიკარნა

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XXII ტური
კტპ 2:1 ლაჰტი

### ინგლისი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
უოლსოლი 2:1 ჯილინგემი

### ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ბოჰემიანსი 1:0 შელბურნი

### უკრაინა
უმაღლესი ლიგა
X ტური
დნიპრო 5:1 ვოლინი

### პორტუგალია
სუპერლიგა
VI ტური
სპორტინგი 1:0 ჟილ ვისენტე

# სიონი ჩემპიონებს თავზე დააჯდა

ბოლნისი. 27 სექტემბერი. 17 საათი. თიმურ სტოფანია. 800 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:0 ტორპედო

1:0 გაბისკირია (41)

სიონი: გოლკოვი, ქიქავიშვილი, ბაქრაძე, ხუჯაძე, გილაური, გაბიდაური, კოშკაძე, ბუჩუა (კვაკვესკირი 85), გაბისკირია, ისიანი (ფანჩულიძე 76), გოგბერიძე (მ. ნიჟნიკაძე 87). სათადარიგონი: ა. ლაბაძე, დარსანია, გ. შენგელია, დაუშვილი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია

ტორპედო: სტურუა, ნერგაძე (ლადაძე 59), ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, გამეზარდაშვილი, ლ. ქელიძე, ყიფიანი, გ. ჩხეტიანი, ახალკაცი. სათადარიგონი: სომხიშვილი, ზ. ქუთათელაძე, დარსაძე, გოგილაძე, კვირიკაძე, მუშკუდიანი. მწვრთნელი: გელა კაკალეიშვილი

გაფრთხილება: ყიფიანი (28), სტურუა (61)

განდევნა: ყიფიანი (62)

მსაჯი: ა. [illegible]; ზ. [illegible] (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. [illegible] (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნიაძე; დირექტორი: ა. ბურჯალიანი

ჯარიმა: 12-19; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 10-3; კარში დარტყმა: 7-3; თამაშგარე: 5-2

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

**ტურის** ცენტრალურ მატჩში „ტორპედომ“ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „სიონს“ და ხელცარიელი გაბრუნდა ბოლნისიდან. მასპინძლებმა უბერებელი იური გაბისკირიას გოლით იმარჯვეს და სატურნირო ცხრილში „დინამოს“ წამოასკუპდნენ თავზე.

მწირმომენტებიან მატჩში თავიდან „ტორპედო“ აქტიურობდა. სწრაფი ჩხეტიანი სახიფათოდ მოძრაობდა სიონელთა საჯარიმოში, თუმცა მალე ბოლნისელებმა თამაშის სადავეები იგდეს ხელთ და გაბისკირიას საჯარიმოებით და ისიანის ფლანგური გარღვევებით მეტოქე დაჩხვლიტეს.

34-ე წუთი იყო, გაბისკირია რომ წააქციეს ტორპედოელებმა საჯარიმოში. პენალტს ჰგავდა, მაგრამ მეშკომა სხვაგვარად განსაჯა. თუმცა ამ ეპიზოდიდან ბევრიც არ იყო გასული, გაბისკირიამ ჯარიმიდან რომ ჩაახვია ბურთი სტურუას კარში — 1:0.

გოლი გავიდა და „ტორპედომ“ ყურები ჩამოყარა. ტაიმის ბოლომდე „სიონს“ ანგარიშის გაზრდა მართებდა, მაგრამ საჯარიმოს მიჯაჭვულ მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა.

უეფას სამართლიანი თამაშის დღეები აქვს და ამიტომაც არის განსაკუთრებით აღსანიშნავი იური გაბისკირიას საქციელი — ბოლნისელი ორ პარტნიორთან ერთად ხელსაყრელ საგოლე სიტუაციაში იყო, წაქცეულ, ტკივილისგან სახეშეცვლილ მეტოქეს რომ ჰკიდა თვალი და არც უყოყმანია, ისე გადააგდო ბურთი აუტში. ასე უხინჯოდაც ჩამთავრდებოდა შეხვედრა, ტორპედოელი გიორგი ყიფიანი რომ არ „წამოეკიდათ“ გულშემატკივრებს. ყიფიანი პროვოკაციას აჰყვა და მაყურებელს აგინა, რისთვისაც მეშკომა გააძევა. გასაძევებელი იყო ზვიად სტურუაც — ბოლო იმედის ჯარიმით საგოლედ გაქცეული ისიანი რომ დასცა საჯარიმოს სიახლოვეს, თუმცა მეშკოვი იმ ეპიზოდში შეცდა და მხოლოდ ყვითელს დააჯერა ტორპედოელი.

ქუთაისელებს, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ გათანაბრების შანსი. ტორპედოელთა შეტევები უძალო და ერთფეროვანი იყო. რაღა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში მასპინძლებს დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებიათ ანგარიშის შესანარჩუნებლად.



ზვიად სტურუა ბოლნისელებმა ერთადერთხელ გატეხეს



მაყურებელს აყოლილი გიორგი ყიფიანი (№ 11) სტადიონიდან ძლივს გაიყვანეს

თეიმურაზ ბურჯანაძე. 3 000 (ტევადობა 10 000)

გორი. 27 სექტემბერი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 3 000 (ტევადობა 10 000)

## დილა 2:1 ბათუმი

1:0 ხაჭაპურიძე (36), 1:1 სირბილაძე (45), 2:1 ბ. ჩიტაია (65)

დილა: სოლოღაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, ბ. ჩიტაია (ოლქესაშვილი 78), ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ჯობაძე (მარღიშვილი 75), რაზმაძე, ა. კაიდარაშვილი, ბ. ჩიტაია. სათადარიგონი: თ. ილურიძე, ხანიშვილი, ბ. კაიდარაშვილი, მახურაშვილი. მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, ბუშარაშვილი, დუმბაძე, ბეგლარ თედორაძე, კობიძე, ქაცარავა (რომანაძე 72), ი. შენგელია, მანჩხავა, სირბილაძე (დარჩიძე 46), კაკალაძე. სათადარიგონი: ი. ბალაძე, ბეჟანიძე, ცანავა, ბაგაშიძე. მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: მახარაძე (45)

განდევნა: დარჩიძე (90)

მსაჯი: დ. სანია (სოხუმი); ზ. [illegible] (თბილისი), ნ. რუხაშვილი (ქუთაისი); ს. [illegible] (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. [illegible]; დირექტორი: რ. მოთიაძე

ჯარიმა: 16-17; კუთხური: 8-2; კარისკენ დარტყმა: 7-5; კარში დარტყმა: 6-2; თამაშგარე: 2-0

# დილა საღამოს გამდიდრდა

კახა შალამბერიძე გორიდან

**გორში** ფეხბურთის ბუმია. მოლონიერებულმა და ლიდერებში გარეულმა „დილამ“ სტადიონზე მაყურებელი დააბრუნა. „ბათუმთან“ მატჩს სამი ათასამდე მოსეირე ჰყავდა, თუმცა დარწმუნებული იყავით, მომდევნო შეხვედრებში ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. ზღვისპირელთა დამარცხებით ხომ „დილამ“ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რაც გორელთათვის სარეკორდო შედეგია. უნდა გენახათ, რა ოვაციები და ჟრიამული გამოიწვია შაბათს „თენგიზ ბურჯანაძეზე“ გამოცხადებულმა დანარჩენი მატჩების ანგარიშებმა. ერთი სიტყვით, შაბათს გორს კარგი დილა გაუთენდა.

„ბათუმთან“ მატჩში უპირატესობა მასპინძლებისა იყო, მაგრამ გამარჯვება მაინც ძნელი გამოდგა. პირველი ნახევრის ბოლო წუთზე გაშვებულმა დასანანმა გოლმა ლამის ყველაფერი ზღვაში ჩაუყარა „დილას“. მანამდე კი გორელებს ერთი გოლის გატანა მოესწროთ. 36-ე წუთზე მცველმა რევაზ ხაჭაპურიძემ ბათუმელთა ბულვარში გაისეირნა, ხელისშემშლელი რომ ვერავინ ნახა, ლაზათიანად მოიქნია ფეხი და ბურთი მოულოდნელად ქვაჩახიას კარის ბადეში აფართხალდა.

გორელები მეორის გასატანადაც გაიქაჩნენ, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს. ირაკლი შენგელიას საჯარიმოდან დარტყმული მეკარემ ხელებში ვერ გაიჩერა და დამატებაზე სირბილაძემ იმარჯვა — 1:1.

„ბათუმსაც“ მეტი რა უნდოდა. ვალერიან ჩხარტიშვილმა შესვენებაზე წუთის წინ გოლის გამტანი თავდამსხმელი სირბილაძე მყის შეცვალა და მოედანზე „ბურთის დამჭერი“ ნახევარმცველი ვიტალი დარჩიძე შეუშვა. სტუმრებმაც უკან დაიხიეს. „დილამ“ კი ისევ დაიწყო ქვაჩახიას კართან მისასვლელი გზების ძიება.

გზა 65-ე წუთზე გამოჩნდა. ლუკა რაზმაძის ფლანგური გარღვევა და ჩაწოდება ბექა ჩიტაიამ ლაზათიანი თავურით დააგვირგვინა — 2:1. „დილამ“ სიფრთხილე გამოიჩინა. წინ თავქუდმოგლეჯილი აღარ მიდიოდა. ზღვისპირელებს კი მწვავედ შეტევა უჭირდათ. დარჩიძე თითქოს აქტიურად კი ჩაერთო თამაშში, მაგრამ რატომღაც ფეხი უსხლტებოდა და წამდაუწუმ ეცემოდა.

მატჩის ბოლომდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. მსაჯის სასტვენამდე წამებით ადრე კი დარჩიძემ გაძევებით „დაამახსოვრა“ თავი სტადიონზე შეკრებილთ. სანაცვლოდ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა არ აპატია.

„დილას“ გულშემატკივრების მიერ დაწესებული საუკეთესო ფეხბურთელების პრიზები გიორგი ბალაშვილს და რევაზ ხაჭაპურიძეს ერგოთ.

საჩუქრები ამით არ ამოწურულა — ფეირ პლეის დღესთან დაკავშირებით უეფას მიერ გამოგზავნილი პრიზები ორ კორექტულ მოთამაშეს — გორელ ლევან გოჩაშვილს და ბათუმელ ზურაბ დუმბაძეს გადაეცათ.

„დილას“ მწვრთნელმა *ზურაბ ხორგუაშვილმა* კი პრესკონფერენციაზე სხვა საჩუქარზეც გაამახვილა ყურადღება:

— მიხარია, რომ მოვიგეთ. ახლა მეორე ადგილზე ვართ, რაც ჩვენთვის საამაყოა. ყველაფერთან ერთად იღბალიც ჩვენსკენაა. დღეს სხვა გუნდებისგან საჩუქრები მივიღეთ და ეს უნდა შევირგოთ. როცა ასე გიმართლებს, უფლება არ გაქვს, არ გამოიყენო.

... შეამჩნევდით, მოგება დღესაც ძალიან გაგვიჭირდა. უბრალოდ, „ბათუმმა“ დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და გოლის გატანა გაძნელდა. დასანანი გოლი გავუშვით, მაგრამ, საბედნიეროდ, მეორე ტაიმში ვიძალეთ.

... მომავალ ტურში თბილისის „დინამოსთან“ თამაში ჩვენთვის ორმაგად სასიამოვნოა. მეტოქეს ხომ ლიდერის როლში ვხვდებით. აქამდე სულ პირიქით იყო, ახლა კი „დინამოზე“ მაღლა ვართ, რაც ძალიან მახარებს.

საქართველოს პირველი ლიგის 15 ჩემპიონატი, პირველი ეტაპი

# 7 ტური

რუსთავი. 28 სექტემბერი. 17 საათი. ფოლადი. 350 (ტევადობა 12 000)

## გორდა 2:2 ამერი

1:0 ალადაშვილი (34), 2:0 პავლიაშვილი (60), 2:1 რუხია (78), 2:2 ღუდუშაური (80პ)

გორდა: ბედიაშვილი, ჩხაიძე, ნინუა, არსოშვილი (პაპაშვილი 46), კაპანაძე (მელაძე 69), მიქაძე, ქათამაძე, პავლიაშვილი, ქადაგიძე (მეტრეველი 46), ალადაშვილი, ბეჟაშვილი
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, ჩიხრაძე, მჭედლიშვილი (ღუდუშაური 63), დავითნიძე, ბეგლაგა (კუხრაშვილი 46), ნიკოლაიშვილი, გოცირიძე, გარუჩავა, ბერიანიძე (განუგრავა 46), რუხია
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

გაფრთხილება: მიქაძე (12), დავითნიძე (63), მეტრეველი (63), ალადაშვილი (83), ბეჟაშვილი (85), პავლიაშვილი (89)

მსაჯები: ხ. კვარაცხელია; მ. ურუშაძე, გ. ტეფნაძე; ა. შალამბერიძე

# ორმიზეზიანი ფრე



მეკარემ გიორგი ბედიაშვილმა „გორდას" ქულა გადაურჩინა, ბექა გოცირიძემ კი „ამერს" მოაპოვებინა

**ფეხბურთი** ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი არ არის. მთავარი სულ სხვა რამაა — „გორდასა" და „ამერის" შეხვედრის წინა დღეს „ამერის" კაპიტანს, გიორგი ჩიხრაძეს ვაჟი შეეძინა! ბედნიერი ყოფილიყოს!

პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერის და ერთ-ერთი აუტსაიდერის თამაში კი დაძაბული და ემოციური გამოდგა. მისი მთავარი ამბავი ის გახლდათ, რომ მეორე ტაიმში, 78-ე წუთამდე, მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ საბოლოო შედეგი 2:2 გამოვიდა. ვერ გეტყვით, სხვამ ვინ შეამჩნია, მაგრამ ამ სიტყვების ავტორს თვალში ასეთი სურათი ეცა: როდესაც საფინალო სასტვენამდე ათიოდ წუთით ადრე „ამერმა" ანგარიში გაათანაბრა, მისმა ფეხბურთელებმა შვებით კი არ ამოისუნთქეს, მესამის გასატანად მოიმართნენ — გიორგი ღუდუშაური „გორდას" კარიდან ბურთის ცენტრისკენ წამოსაღებადაც კი გაიქცა. თითქოს წვრილმანია, მაგრამ დაგვეთანხმებით, რაღაცაზე მეტყველებს. თან უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ სტუმრებს მართლაც შეეძლოთ გამარჯვების გოლის გატანა — იმავ ღუდუშაურის ეშმაკურ, დაბალ, მაგრამ უზუსტო დარტყმას ნუ ჩავთვლით და მთლად ბოლო წამს ამირან კედელაშვილს მოეცარა ხელი, არადა, პოზიცია დიდებული ჰქონდა.

მაინც რატომ შეიცვალა თამაშის ნირი ასე ძალიან? უხვსიტყვაობას არ მოვყვებით და ამის მიზეზი ორი რამ გვგონია: პირველი, „გორდას" ცუდი ფიზიკური მომზადება და მეორე, „ამერის" მეათე ნომერი, თხუთმეტი წლის და ერთი თვის ბექა გოცირიძე. რუსთაველთა სუსტი ჯანის მიზეზები, ეჭვია, კლუბის უფულობაში უნდა იყოს ჩამალული — სეზონისწინა შეკრებები ტყუილად არ მოუგონია ჭკვიან ხალხს — ბექა გოცირიძეს კი ამ დღეს პირველად მოუხდა თავიდან ბოლომდე თამაში და სწორედ მაშინ „გაეხსნა მადა", როდესაც მატჩის მთავარი ხაზი ერთი შეხედვით დაღმა იწყებდა სვლას. თბილისელთა მეორე გოლიც გოცირიძის წაქცევისთვის დანიშნულ პენალტს მოჰყვა.

იმ დღეს „ამერის" შემადგენლობაში დებიუტანტიც გამოჩნდა, გეგი გარუჩავა. ამ შუა ნახევარმცველმა თავისებური ელფერი შეიტანა გუნდის მოქმედებაში. იქნებ გარუჩავა ყოველთვის დახვეწილი არც იყო, მაგრამ მოედნის ცენტრში ბურთის მოსაგებად იბრძოდა, ორთაბრძოლებს არ გაურბოდა და ვფიქრობთ, ამით აკეთებდა იმას, რასაც მისი ამპლუის ფეხბურთელი უნდა აკეთებდეს — უცხოური პრესა ხშირად ხმარობს ტერმინს „ბურთის მომგები ნახევარმცველი" — თორემ, მოედნის შუაში თამაში მხოლოდ შეტევისგან არ შედგება.

და აუცილებლად უნდა ითქვას „გორდას" მეკარეზე, გია ბედიაშვილზე, რომელიც ამ შეხვედრაშიც ჩინებულად იცავდა კარს და საერთოდაც, მისი მონაცემებისა და თვისებების პატრონი მცველთა დიდი იმედი უნდა იყოს — კარიდან გაბედული გამოსვლები, თავდაჯერება, რიხი. ის არ ჰგავს ტიპიურ ქართველ „ხაზის მეკარეს" და ამაში „ამერის" ფორვარდები თავად დარწმუნდნენ.

დაცვაში კი „ამერს" ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებს. ვფიქრობთ, ის, რაც ამ გუნდის ბოლო ხაზის თავს ხდება, იმდენად ცალკეული მცველების ბრალი არ უნდა იყოს, რამდენადაც თამაშის სისტემური ხარვეზების, თუმცა ამაზე თავს აღარ შევაწყენთ.

**ბაბუნა ძიდია**

ვიტ ჯორჯია 0:0 ლუკა

დინამო 2 0:0 გურია

სამგურალი 2:1 ცხინვალი

ჩიხურა 2:0 ლოკომოტივი 2

მილანი 1:0 თსუ

მეტალურგი 0:2 კობულეთი

ოლიმპი 1:1 იბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| სამგურალი | 7 | 5 | 2 | 0 | 11:3 | 17 |
| გორდა | 7 | 5 | 1 | 1 | 12:8 | 16 |
| კობულეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 11:6 | 15 |
| ცხინვალი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | 11 |
| დინამო 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | 11 |
| თსუ | 7 | 3 | 1 | 3 | 9:7 | 10 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| მილანი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:4 | 8 |
| იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:11 | 8 |
| გურია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| ლუკა | 7 | 2 | 1 | 4 | 4:11 | 7 |
| ჩიხურა | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| ლოკომოტივი 2 | 7 | 2 | 0 | 5 | 4:10 | 6 |
| ამერი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| მეტალურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:16 | 0 |




სარბიელელები ვულოცავთ გიორგი ჩიხრაძეს მეორე ვაჟის დაბადებას


საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი, პირველი ეტაპი

# 10 ტური

თბილისი. 30 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი

## ვიტ ჯორჯია — თბილისი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

მცხეთა. 1 ოქტომბერი. 16 საათი. არმაზი

## სპარტაკი — ბათუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

თბილისი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული

## დინამო — დილა

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ნ. კაკულია

ქუთაისი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ტორპედო

## ტორპედო — მცხეთა

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); დ. ხანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. სილაგავა; დირექტორი: დ. გოგია

ფოთი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — სიონი

მსაჯები: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: ვ. კობალეიშვილი

თბილისი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — მერცხალი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკაროვლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: შ. ბაქრაძე

## მეცხრე ტურის სიმბოლური ნაკრები




| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - ახალაია | დინამო |
| 6 - დავითაშვილი | თბილისი |
| 5 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ა. ძაიდარაშვილი | დილა |
| 4 - გონჩაროვი | სიონი |
| ძაძალაძე | ბათუმი |
| 3 - სულთანიშვილი | დილა |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| ხირაძე | ლოკომოტივი |
| ძოძუაშვილი | დილა |
| დარასელია | დინამო |
| ბობოხიძე | დინამო |
| ხომერიკი | ლოკომოტივი |
| გაბისკირია | სიონი |
| მიძაძე | ლოკომოტივი |
| ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 2 | 1 | 17:5 | 20 |
| დილა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:6 | 19 |
| სიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 18 |
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 23:5 | 17 |
| ტორპედო | 9 | 4 | 2 | 3 | 8:7 | 14 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| თბილისი | 9 | 3 | 1 | 5 | 11:14 | 10 |
| კოლხეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:10 | 10 |
| მცხეთა | 9 | 3 | 1 | 5 | 9:18 | 10 |
| ბათუმი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:12 | 9 |
| მერცხალი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:19 | 8 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 2 | 6 | 3:20 | 5 |


რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# იგოლავეს ბიჭებმა

## აქა შვიდობა ქართულად

**ამ უქმეებზე** ქართველებმა ევროპაში მაგრად იგოლავეს — შვიდჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარები. მათგან ყველაზე მეტად რეინჯერსელი შოთა არველაძე გამოირჩა, რომელმაც „დანდისთან“ მატჩში დუბლი გაახერხა და 3:1 მოაგებინა თავისიანებს. მოედანზე შოთას გარდა კიდევ ორი ჩვენებური იყო — ყოფილი დანდელი ზურაბ ხიზანიშვილი და დანდელი გიორგი ნემსაძე. სამივემ სრულად ითამაშა. არველაძე კი ხუთ მატჩში გატანილი ექვსი გოლით პრემიერლიგის ბომბარდირთა ლიდერია.

გოლაობას აგრძელებს მიხეილ აშვეთიაც. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ვლადიკავკაზიის „სპარტაკ-ალანიას“ 2:0 სძლია და ამ სეზონში თავისთვის სარეკორდო, მესამე ადგილზე წამოსკუპდა. აშვეთიამ მარატ იზმაილოვის პასით იხეირა და თავით გაუტანა თავის ყოფილ კლუბს.

თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მამია ჯიქიამ. „ამიცა“ 2:0-ს უგებდა უეფას თასზე მოთამაშე „ვისლას“, მაგრამ მერე სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი შეცვლაზე შესულმა ჯიქიამ გამარჯვება „ამიცას“ დაუტოვა. ჩვენებურისთვის ეს პირველი პოლონური გოლი იყო ამ სეზონში. ვრონკელები ისევ ლიდერები არიან.

უკრაინაში გიორგი დემეტრაძემ იყოჩაღა. დონეცკის „მეტალურგმა“ სტუმრად 2:0 დაამარცხა „კარპატი“. „დემემ“ საფირმო პენალტით იხეირა. მოედანზე 64-ე წუთზე გამოჩენილმა გოჩა ჯამარაულმა კი საგოლე პასი „იკმარა“.

ამირან მუჯირის გოლმა ვერაფერი უშველა „მარეკს“. „ლიტექსმა“ 2:1 აჯობა დუბნიცელებს. მუჯირის გუნდი შარშანდელ სეზონთან შედარებით ძალიან სუსტად თამაშობს და სატურნირო ცხრილშიც ოდენ მე-13 ადგილზეა.

კვიპროსზე ორი ქართული გოლი გავიდა, ორივე „ევტაპას“ — „ანართოსისის“ მატჩში. „ბებერმა“ თემურ ქეცბაიამ სტუმრებს სამი ქულა დაუბევა. გიორგი ქორიძისა და დავით პეტრიაშვილის „ევტაპასი“ კი კუნძულზე ლამის სეზონის აღმოჩენად მონათლონ. დებიუტანტ ევტაპასელების კარგ სტარტს ბევრი არ ელოდა. ოთხ ტურში ოთხი გოლის გამტან ქორიძეს ამჯერად არ გაუმართლა, თუმც, სამაგიეროდ, პეტრიაშვილმა გაიტანა პირველი კუნძულური გოლი.

„ქართული გუნდები“ კიდევ ორ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. რუსეთში „სპარტაკ“ — „ურალანის“ ჯახში ვალერი აბრამიძე ყოფილ თანაგუნდელებს ესტუმრა და ქულაც აართვა, გიორგი ლომაია ამჯერადაც სათადარიგოობას დასჯერდა. გიორგი ციმაკურიძის „შახტარმა“ კი აფხაზავა-შეყილაძის „არსენალიც“ მოინელა და უკრაინაში პირველობს. შეყილაძემ სრულად ითამაშა, აფხაზავა კი 85-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

**კახა ზალამბერიძე**

# კალაძე გამოირიცხა

## მილანელება საქართველოს ნაკრებს ცუდი ამბავი აცნობეს

**იტალიური „მილანის“** ქართველი მცველი კახა კალაძე 11 ოქტომბრის რუსეთ — საქართველოს ევროშესარჩევ მატჩს ტრავმის გამო გამოტოვებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამის თაობაზე გუშინ განაცხადა, მას შემდეგ, რაც იტალიელთაგან ოფიციალური პასუხი მიიღო — კალაძე ტრავმირებულია.

საქართველო — რუსეთის მატჩისას კახა კალაძე კედელივით იყო, ახლა კი, სამწუხაროდ, ჩვენებს მოსკოვში ველარ დაეხმარება.

კალაძე ტრავმირებულია — რუსებს ეს ინფორმაცია, იცოცხლეთ, გაახარებს.

**კობა ინასარიძე**






გიორგი ნემსაძის (მარჯვნივ) „დანდი“ მიხაელ მოლსის „რეინჯერსთან“ უშანსოდ დარჩა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლეჩე 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | აინტრახტი 1:1 | 45 | შეცვალეს | 7 | 0 | 12 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:1 | 90 | | 7 | 1 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:1 | 90 | | 7 | 1 | 9 |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ობერჰაუზენი 1:1 | 62 | შეცვალეს | 7 | 3 | 12 |
| მიხეილ სავაია | უნტერჰახინგი | შ | უნიონი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი 3:1 | 90 | 2 გოლი | 5 | 6 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | დანდი 3:1 | 90 | | 7 | 0 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | რეინჯერსი 1:3 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ჰერენვენი 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | მატერსბურგი 0:1 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკ-ალანია 2:0 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | სპარტაკ-ალანია 2:0 | 90 | 1 გოლი | 9 | 6 | 3 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ზენიტი 1:2 | 0 | სათადარიგო | 17 | 3 | 4 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ზენიტი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 10 | 0 | 4 |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | ს | სპარტაკი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 14 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | სპარტაკი 1:1 | 90 | | 11 | 2 | 14 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | სპარტაკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | შ | ურალანი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | სატურნი 3:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 21 | 1 | 16 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | როტორი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| **პოლონეთი. I ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ვისლა 3:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 7 | 1 | 1 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | კარპატი 2:0 | 26 | შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი | 10 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | კარპატი 2:0 | 90 | 1 გოლი | 9 | 7 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | მ. ზაპოროჟიე 0:1 | 90 | | 9 | 2 | 13 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | მ. ზაპოროჟიე 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 13 |
| გრიგოლ ჭანტურია | ტავრია | ს | მ. ზაპოროჟიე 0:1 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | ჩერნომორეცი 3:3 | 90 | | 9 | 0 | 10 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ტავრია 1:0 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | შახტარი 1:2 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 3 | 8 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | ს | შახტარი 1:2 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | შახტარი | შ | არსენალი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | ს | ფერენცვაროში 0:3 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 4 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ლიტექსი 1:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 6 | 2 | 13 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ცსკა 3:1 | 0 | | 4 | 0 | 14 |
| **კვიპროსი. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ევტაპასი 3:2 | 90 | 1 გოლი | 4 | 2 | 4 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | აეკ 2:2 | 90 | | 4 | 1 | 7 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | დიგენისი 0:0 | 16 | შეცვალეს | 4 | 5 | 6 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | შ | ანართოსისი 2:3 | 90 | | 4 | 4 | 9 |
| დავით პეტრიაშვილი | ევტაპასი | შ | ანართოსისი 2:3 | 31 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 3 | 1 | 9 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | ს | ორდაბასი 0:1 | 90 | | 18 | 1 | 16 |
| სანდრო ბურნაძე | ქეტისუ | | ტური გამოტოვა | | | 7 | 1 | 5 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | ს | თარაზი 0:1 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 2 | 7 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | ს | თარაზი 0:1 | 67 | შეცვალეს | 8 | 1 | 7 |
| გელა ქორიძე | ესილი | ს | ყაირათი 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 6 | 0 | 17 |
| დავით ჩოხელი | ესილი | ს | ყაირათი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 17 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# უხვიც და გვალვიანიც

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VII ტური

**არსენალი 3:2 ნიუკასლი**

1:0 ანრი (18), 1:1 რობერი (26), 2:1 ჟილბერტო სილვა (67), 2:2 ბერნარი (71), 3:2 ანრი (80პ)
არსენალი: ლემანი, ლორენი, კ. ტურე, კოული, ეშლი კოული (სიგანი 52), პარლოუ (პირესი 62), ჟილბერტო სილვა, ვიეირა (ედუ 25), ლიუნგბერგი, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ნიუკასლი: გივენი, ობრაიენი, ბრემბლი, ა. ჰიუზი, ბერნარი, ჯენასი (ამეობი 89), ბოიერი (სპიდი 72), დაიერი, რობერი (ამბროზი 81), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: რობერი
მსაჯი: რაილი
38 112 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ასტონ ვილა**

1:0 ჰასელბაინკი (43)
ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, გალასი, დესაი, ბრიჯი, ლამპარდი, ვერონი (ჯ. კოული 79), პეტი (მაკელელე 73), დაფი, მუტუ (გრონკიაერი 63), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, ალფაი, დაბლინი, ჯ. სამუელი, ენდრი, გ. მაკკანი, ბერი, დე ლა კრუზი, უიტინგემი (ვასელი 53), პ. ანჯელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: დილანი, სამუელი
მსაჯი: უინტერი
41 182 მაყურებელი

**ლესტერი 1:4 მანჩესტერ იუნ.**

0:1 კინი (15), 0:2, 0:3, 0:4 ვან ნისტელროი (16, 45, 52), 1:4 სინკლერი (73)
ლესტერი: უოქერი (კოინი 64), კურტისი, ფ. სინკლერი, ტაგარტი (ჯ. სტიუარტი 57), ტეტჩერი (როჯერსი 40), ნალისი, იზეტი, შიმუკა, სკოუკროფტი, მ. ბენტი, დიკოვი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ფ. ნევილი, ოში, ფლეტჩერი, როი კინი (ჯემბა-ჯემბა 46), სქოულზი (ფორლანი 56), კ. ფორჩუნი, ვან ნისტელროი, გიგზი (ბათი 61)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: პოლი
32 044 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:0 პორტსმუთი**

1:0 კლემენსი (21), 2:0 ლაზარიდისი (50)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, დ. ჯონსონი, კანინგემი, აპსონი, კლემამი, დ. დანი, სევიჯი, კლემენსი, ლაზარიდისი (ტებილი 84), დუგარი (ა. სისე 71), ფორსელი (ფიგეროა 87)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
პორტსმუთი: ჰისლოპი, შემელი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ფოკსოვიჩი, სტოუნი, ფეიე (შერვუდი 65), ი. ტეილორი (რობერტსი 55), სმერტინი, შერინგემი, აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: სისე, ფეიე, შერინგემი, შერვუდი
მსაჯი: ბენეტი
29 057 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:0 ტოტენჰემი**

მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჯიხაი, სომეილი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, მაკმანამანი (კ. რეინა 85), ტ. სინკლერი (სიბიერსკი 72), ანელკა, ვანჩოპე (ფაულერი 76)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, რიჩარდსი, გ. გარდნერი, ტარიკო, ანდერტონი, ბუნიუზევიჩი (მ. რიკეტსი 61), პოიეტი, კონჩესკი (დალმა 78), რობი კინი, კანუტე
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
გაფრთხილება: ტარნატი, ჯიხაი, გარდნერი
მსაჯი: ბერი
46 842 მაყურებელი

**ჩარლტონი 3:2 ლივერპული**

0:1 შმიცერი (15), 1:1, 2:1 ლისბი (31, 43), 2:2 ოუენი (52), 3:2 ლისბი (83)
ჩარლტონი: კილი, იანგი, პერი, ფიში (ჯ. ფორჩუნი 74), კ. პაუელი, გ. სტიუარტი (კიშიშევი 71), პარკერი, ჰოლანდი, კ. იენსენი, ლისბი (ჯ. იოჰანსონი 90), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰიპია, ბისკანი, რიისე, დიუფი (ლე ტალეკი 84), ჯერარდი, შმიცერი (დენი მერფი 67), კიუელი, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: იანგი, კიშიშევი, დიუფი
მსაჯი: სტაილზი
26 508 მაყურებელი

**ევერტონი 4:0 ლიდსი**

1:0, 2:0 უოტსონი (27, 37), 3:0 ფერგიუსონი (39), 4:0 უოტსონი (52)
ევერტონი: მარტინი, პაისტერი, იობო, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი (რუნი 76), გრაველსენი, კარსლი, მაკფადენი (ლინდეროტი 86), რაძინსკი (კილბეინი 76), დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ზ. კამარა, როკე ჟუნიორი, მატეო, პენანტი (ბრიჯისი 46), ჯ. მორისი, ს. ჯონსონი (ე. ლენონი 46), საკო (ოლემბე 46), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: კამარა, ბრიჯისი
მსაჯი: დარკინი
39 151 მაყურებელი

**ბლექბერნი 0:2 ფულემი**

0:1 ბოა მორტე (5), 0:2 საჰა (56)
ბლექბერნი: ფრიდელი, მარტინ ტეილორი, ლ. ამორუზო, ბაბელი (ნ. იოჰანსონი 28), გრეშკო (გრაბი 58), ემერტონი, ბ. ფერგიუსონი (თუგაი 58), ფლიტკროფტი, დ. ტომპსონი, ენდი კოული, იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი (ლიკოკი 46), გომა, ნაითი, ბონისელი, პემბრიჯი, ინამოტო, ბოა მორტე (ბუარი 84), კლარკი, მალბრანკი, საჰა
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ფლიტკროფტი, თუგაი, ინამოტო, ნაითი, ლიკოკი, ბოა მორტე
მსაჯი: მესიასი
21 985 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:1 მიდლსბრო**

0:1 კრისტი (13)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი (ა. სვენსონი 54), ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ლე სო, ფ. ფერნანდესი (ორმეროდი 76), ოკლი, ტელფერი, მარსდენი (ნ. მაკკანი 39), ბიტი, ფილიპსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, რიკოტა, კუპერი, კედრუ, გრინინგი, ბოატენგი, დორიევა, ზენდენი, ჟობი (ნემეტი 75), კრისტი (მ. რიკეტსი 86)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: მ. სვენსონი, მარსდენი, ა. სვენსონი, ოკლი, მილსი, კუპერი, რიკოტა
გაძევება: ფილიპსი (90)
მსაჯი: ნაითი
30 772 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 ვულვერჰემპტონი**

0:1 რაე (33), 1:1 დევისი (85)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი (ლიტლი 79), ტომე, ჩარლტონი, რ. გარდნერი, ნოლანი, კამპო (ფრანდსენი 61), ოკოჩა, ჯორკაეფი, კ. დევისი, პედერსენი (ჯარდელი 60)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, ნიუტონი (კამარა 86), რაე, ინსი, კამერონი, კენედი, ივერსენი (კ. მილერი 46)
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: ნოლანი, ტომე
მსაჯი: დინი
27 043 მაყურებელი

**ასეა თუ ისე,** ჟერარ ულიეს ბოლო სეზონი აქვს ლივერპულში. ასე ამბობენ და, თუ ფრანგმა შობამდე გაძლო, ესეც მიღწევა იქნება მისი მხრიდან. ორ კვირაში „ლივერპულმა" თითქოს გამოიღვიძა, მაგრამ მაზე ლონდონის განაპირას, ჩარლტონში დაუხვდა, სადაც კევინ ლისბის ჰეთ თრიკმა ქულაც კი არ გაატანა მერსისაიდელებს.

მაშინ, როცა მაიკლ ოუენს მხოლოდ პენალტის ნიშნულიდან გააქვს გოლი, ხოლო მერსისაიდელი ფანობა მთელი საფეხბურთო ინგლისის გასაგონად აცხადებს, რომ კვირა შუადღით მათმა გუნდმა ისტორიაში ყველაზე ცუდად ითამაშა, ყოველგვარი ღირსებისა და ჟინის გარეშე, მენეჯერის საკითხიც წამოტივტივდება ხოლმე, მით უმეტეს, როცა სეზონი სრულიად ჭრელად მიმდინარეობს, ნაკრების ორ მთავარ თავდამსხმელს კი ერთმანეთი ვერ უპოვნია მოედანზე.



ჩარლტონი — ლივერპული. სტუმრები ვლადიმირ შმიცერის გოლით კი იგებდნენ, მაგრამ ბოლოს წაგებულები დარჩნენ

ამის მიუხედავად, ულიემ გუნდის თამაში არ გააკრიტიკა, წაგებას არ ვიმსახურებდით, ზოგჯერ ისეა ხოლმე, რომ ტაბლოს რომ შევხედავ, ვერც კი ვიჯერებ, წაგებულებად ჩვენ რომ ვწერივართო.

წლეულს საკლუბო სამსახურები დაკარგეს ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელებმა გრემ ტეილორმა, ტერი ვენეიბლზმა და აგერ, ახლა გლენ ჰოდლმა. თავიანთ თანამდებობას მხოლოდ ორი ეროვნული თავკაცი, „სიტის" კევინ კიგანი და „ნიუკასლის" სერ ბობი რობსონი ინარჩუნებს.

პირველ კომპანიას ეგებ ძალიან მალე დაემატოს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელიც, რომელიც ლივერპულის ყოფილი მწვრთნელი შეიქნება.

ლივერპულელი მეშვიდეა ცხრილში, ბოლოსწინაა სერ ბობის „ნიუკასლი", რომელმაც პარასკევ საღამოს ჰაიბერიზე თავსხმა წვიმაში კვლავ წაგო „არსენალთან". მთელი კვირის მანძილზე წინა ტურში ხულიგნობის გამო განკიცხულმა „არსენალმა" ფრთხილად და კლასით ითამაშა. „ნიუკასლმა" ორჯერ გაუთანაბრა — ოლივიე ბერნარის გოლი მთლად ზღაპრული იყო, მაგრამ ბოლო წუთებზე ყრმა ჯერმენ ჯენასს რაღაცამ დარია ხელი და მაღალ ბურთზე გასულმა ხელით ითამაშა. ეს სრულიად არ იყო საპენალტე სიტუაცია, პენალტი კი ანრიმ ისეთი შეასრულა, რომ ღიმილი დააბრუნა „ინტერისგან" დამგლოვიარებულ „ჰაიბერიზე".

სერ ბობის მაინც არავინ მოხსნის, „ნიუკასლს" ეტყობა, რომ ამოძვრება.

კვირა საღამოს უხასიათოდ იყო კევინ კიგანი, რომლის „სიტიმაც" შინ გოლი ვერ გაუტანა „ტოტენჰემს", რომელმაც ჰოდლის გარეშე პირველად ითამაშა სალიგო მატჩი დროებით მწვრთნელ დევიდ პლიტის ხელმძღვანელობით. შუა კვირაში „დეზებმა" სათასო მატჩი მოუგეს „ქოვენთრის" პლიტისავე თავკაცობით, თუმცა დროებითი მენეჯერი აცხადებს, რომ ის კლუბის საფეხბურთო დირექტორია და მენეჯერად სწორედ რომ დროებით არის. პლიტი ძველი ყაიდის კაცია, ბოლოს და უიღბლოდ „შეფილდ" უენსდის წვრთნიდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იქ პაოლო დიკანიო თამაშობდა და როცა ამ გუნდს კიგანის ხელქვეით მყოფმა „ნიუკასლმა" 6:1 მოუგო. „ნიუკასლიდან" წასვლისას კიგანმა ისიც კი თქვა, არ შემიძლია, ცხოვრება იმად არ ღირს, რომ ისეთი რამეები დამართო ადამიანებს, რაც მისტერ პლიტს დავმართეო.

ისინი კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს ვითარცა მენეჯერები და ამჯერად პლიტმა წასაღები წაიღო, თუმცა „სიტიმ" ბარე 23-ჯერ დაჰკრა კარის მიმართულებით, პაულო ვანჩოპეს კი პირადად უნდა გაეტანა სამი გოლი. პლიტი კი ალბათ კარგახანს იქნება მენეჯერად, უფროსობას გადაუწყვეტია, რომ „სელტიკს" საგაისოდ მაინც გამოაშვებინოს მარტინ ონილი, მანამდე კი მხცოვან დირექტორს ენდოს.

ამ სიკეთის დროს პირველად წააგო „საუთჰემპტონმა", შინ, „მიდლსბროსთან", მხოლოდ ერთი გოლით და ეს გოლი მალკოლმ კრისტიმ გაიტანა. მასპინძლებს გაუძევეს მეგოლე კევინ ფილიპსი, ვინაც ვერ მოითმინა და წიხლი მოუქნია ბოროელ კედრუს. არსენ ვენგერისგან განსხვავებით, რომელმაც წინა კვირაში მკერდით დაიცვა თავისი ბიჭები, გორდონ სტრაჩანმა ფილიპსის კაი ბიჭობაზე სიტყვა არ დაძრა.

ზედიზედ მეორედ წააგო „პორტსმუთმა", ტედი შერინგემმა ძელი კი დააზანზარა, მაგრამ „ბირმინგემ სიტი" მართლაც რომ გუნდია და სტივენ კლემენსისა და სტენ ლაზარიდისის გოლებით სტუმრად დასცა კოხტა მეზღვაურები.

ბედის დაცინვა თუ არ არის და ოზ ლაზარიდისს ინგლისურ ფეხბურთში გზა სწორედ „პორტსმუტის"

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 9 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 |
| 2 ჩელსი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 |
| 3 მანჩესტერი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:3 | 10 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 9 |
| 4 ბირმინგემი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 |
| 5 სიტი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:8 | 6 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 |
| 6 საუთჰემპტონი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 4 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 |
| 7 ფულემი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:9 | 4 | 11 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 |
| 8 ლივერპული | 7 | 3 | 2 | 2 | 11:7 | 4 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 7 |
| 9 პორტსმუთი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 6 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 10 ევერტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 1 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 |
| 11 ბლექბერნი | 7 | 2 | 2 | 3 | 14:14 | 0 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 |
| 12 ჩარლტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 4 |
| 13 ასტონ ვილა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 0 |
| 14 მიდლსბრო | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 15 ბოლტონი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:11 | -6 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | -8 | 1 |
| 16 ლესტერი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:13 | -3 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 0 |
| 17 ტოტენჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 |
| 18 ლიდსი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:16 | -10 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | -8 | 3 |
| 19 ნიუკასლი | 6 | 0 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 2 |
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუკიჩი, ლუსიო, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი (ბაშთურქი 82), ბაბიჩი, პონტე (ბიროფკა 60), ნოივილი, ფრანცა (ბერბატოვი 63)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ბილიშკოვი, შნოორი, დალესანდრო, მიულერი, პონტე, ლუკიჩი, რამელო
მსაჯი: ვაკი
24 135 მაყურებელი

### ჰანზა 1:2 ბაიერნი

0:1 სანტა კრუზი (30), 1:1 ლინკე (47ხ.კ.), 1:2 მაკაი (86)
ჰანზა: შობერი, კოვარი, კინცი, ჰილი, მელკამი, ადუბე, ტიკუზე, ლანცი, პერსონი (რიდლევიჩი 46), მაქსი, პლასნეგერი
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
ბაიერნი: კანი, კუფური, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, დემიკელისი, ბალაკი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი (ტროხოვსკი 71), მაკაი, სანტა კრუზი (კ. პიზარო 71)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: მელკამი, ლანცი, კინცი, ბალაკი, დემიკელისი
მსაჯი: ფანდელი
29 000 მაყურებელი

### ჰერტა 1:1 ჰამბურგი

1:0 ფრიდრიხი (32), 1:1 უიფალუში (90)
ჰერტა: კირალი, რემერი (მადლუნგი 74), შიმუნიჩი, ფრიდრიხი, ჰარტმანი, დარდაი, პინტუ (მლადენოვი 81), ნოინდორფი (ნ. კოვაჩი 66), გოორი, ბობიჩი, ლუიზაო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, მალტრიცი, რაინჰარდტი, უიფალუში, კლინგი (ბენჯამინი 69), შლიკე, ვიკი (რომეო 69), მაჰდავიკია, ბაინლიხი (ტაკაჰარა 46), იაროლიმი, ბარბარეზი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ნოინდორფი, ბობიჩი, კირალი, მლადენოვი, იაროლიმი, ვიკი, ბენჯამინი
მსაჯი: კინჰოფერი
36 876 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი 1:0 ჰანოვერი

1:0 კლოზე (90)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ჰენგენი, ლემბი, ჩატო, ფროინდი (რიდლი 46), ხრისტოვი, კოსოვსკი, დომინგუში (ჰალილ ალტინტოპი 84), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, კლებერი, ზურავი, დე გუზმანი, კრუპნიკოვიჩი (ბრდარიჩი 60), სტაინერი (შტენდელი 58), იდრისუ, კრისტიანსენი (ვოლფი 82)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ხრისტოვი, ჰენგენი, კლოზე, კონსტანტინიდისი, დე გუზმანი, კლებერი, იდრისუ
მსაჯი: გაგელმანი
32 361 მაყურებელი

### მიონხენგლადბახი 2:2 ბოხუმი

1:0 ვან ლენტი (53), 1:1 დიაბანგი (60), 1:2 მადსენი (89), 2:2 ვან ლენტი (90)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, ასანინი, შტრასერი, კლუგე (კეტელაერი 32), კორზინევი, კირსი, კოლკა, ულიხი (გაედე 69), სვერკოში (სკოუბო 81), ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი (ვრიზდე 15), ბიონგი, ცდებელი, ოლისე, ტ. გუდიონსონი (დიაბანგი 46), ვოში (სტევიჩი 75), ჰაშემიანი, პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: კირსი, სვერკოში, გუდიონსონი
მსაჯი: კოოპი
29 000 მაყურებელი

„შტუტგარტის" შტუდიები გრძელდება — არგაშვებული გოლი და ლიდერობა. ფელიქს მაგათის გუნდი განსაკუთრებულ ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ განსაკუთრებული შედეგი აქვს — თავისმტვრევაც გრძელდება.

შაბათის „სარბიელში" ტურის ანონსში გაუწყეთ, რომ „მიუნხენ 1860"-ს შინ „შტუტგარტისთვის" 1997 წლის მერე არ მოუგია და კვლავ ჩაფლავება — ზვონიმირ სოლდოს, ფერნანდო მეირას და ალექსანდრ გლების გოლებს „ცისფერმა ლომებმა" ვერაფრით უპასუხეს.

შტუტგარტელთა რიგებში ბოლო დროს ერთობ დაწინაურდა 22 წლის ბელარუსი ნახევარმცველი გლები — მას „შტუტგარტში" დიდხანს დარჩენა არ უწერია — ბელარუსს თვალი მიუნხენის „ბაიერნმა" და სხვა ევროპულმა გრანდებმაც დაადგეს — გლებმა გოლი ბრწყინვალე სოლო რეიდს მოაყოლა.

ძალიან ნოყიერი გამარჯვება მოიპოვა „ლევერკუზენმა" „ვოლფსბურგში" — ფარმაკოლოგები წინა სეზონის საშინელი შოკიდან თანდათან გამოდიან, კლაუს აუგენტალერის ხელში მართლაც ბევრად უკეთესად ათამაშდნენ და ლიდერებშიც არიან. ერთადერთი და გამარჯვების გოლი ფოლკსვაგენეთში ბერნდ შნაიდერმა გაიტანა — მას საგოლედ ბრაზილიელმა ფორვარდმა ფრანცამ უპასა.

ბოლო ორ ტურში მიუნხენის „ბაიერნს" ოდენ ქულა მოექუჩებინა და როსტოკში მხოლოდ გამარჯვება ჩაეთვლებოდა წარმატებად — ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა ამოცანა როი მაკაის გვიანი გოლით ამოხსნა — ვინძლო ბავარიელებს „ჰანზასთან" პრობლემები არც შეჰქმნოდათ, რომ არა თომას ლინკეს თავური საკუთარ კარში. ვაჟკაცურად იბრძოლა „ფრაიბურგმა" დორტმუნდში, მაგრამ კლასში სხვაობამ თავისი გაიტანა. „დორტმუნდმა" ევერტონის დიდებული გოლით მოიგო — ბრაზილიელმა ფრაიბურგელი მცველები შეცდომაზე დაიჭირა და ლამაზადაც გაიტანა.

კვლავ ხელი მოეცარა გელზენკირხენის „შალკე 04"-ს. იუპ ჰაინკესის სამწყსო ურუგვაელი მცველის დარიო როდრიგესის თავურით დაწინაურდა, მაგრამ „აინტრახტის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა კრისმა ოთხ წუთში გაათანაბრა. მეორე ტაიმში „შალკე" მონდომებით უტევდა, საგოლე მომენტებიც შექმნა, მაგრამ სამ ქულას მაინც ვერ შესწვდა.

ისევე როგორც „შალკესთან", საამსეზონოდ ბევრს ელოდნენ და ელიან კიდევ ორი გუნდისგან — „ჰერტასგან" და „ჰამბურგისგან", თუმც ეს გუნდები ჯერაც ვერ ჩუბინობენ. „ჰერტას" ამ სეზონში მატჩიც არ მოუგია და არც „ჰამბურგია" დიდი ხეითო.

ერიკ გერეტსი კი თავსლაფისგან მიროსლავ კლოზემ იხსნა, ვინც მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე სამი ქულა გამოადნო „ჰანოვერთან".

ზუსტად იმავე წუთს გაიტანა გოლი არო ვან ლენტმა, ოღონდ მიონხენგლადბახში, რითაც იქაურ „ბორუსიას" ქულა მოუტანა. ვან ლენტმა მატჩის პირველი გოლიც გაიტანა 11-მეტრიანით, მაგრამ „ბოხუმმა" ორით უპასუხა — სენეგალელი მამადუ დიაბანგის და დანიელი პიტერ მადსენის.

ტურის ყველაზე უხვგოლიანი მატჩი კიოლნში იყო, სადაც ბრემენელებმა გაილაღეს. „ვერდერის" გამარჯვებას ფრანგმა პლეიმეიკერმა იოან მიკუმ დაუდო სათავე თავურით, მერე ხორვატმა შემტევმა ევან კლასნიჩმა, კანადელმა შუახაზელმა პოლ სტალტერამ და ბერძენმა ფორვარდმა ანგელოს ქარისტისმაც გაიხარეს.

**დავით თაგართქილაძე**



„აინტრახტთან" საშინაო ფრემ იუპ ჰაინკესი უსიამოვნოდ გააკვირვა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შტუტგარტი | 7 | 5 | 2 | 0 | 9:0 | 9 | 17 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:0 | 6 | 10 |
| 2 ვერდერი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 10 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 9 |
| 3 ლევერკუზენი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 9 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 |
| 4 ბაიერნი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 7 |
| 5 დორტმუნდი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 6 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 6 ვოლფსბურგი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:13 | 1 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 5 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 7 ჰანოვერი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:13 | 1 | 11 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 2 | 5 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 6 |
| 8 მიუნხენი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 9 ფრაიბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 0 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 |
| 10 ბოხუმი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 0 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 11 ლაუტერნი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 0 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 |
| 12 შალკე | 7 | 1 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 1 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 13 ჰანზა | 7 | 1 | 2 | 4 | 10:13 | -3 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 2 |
| 14 ჰერტა | 7 | 0 | 5 | 2 | 5:9 | -4 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 15 აინტრახტი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 |
| 16 გლადბახი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 17 ჰამბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:14 | -9 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 |
| 18 კიოლნი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:14 | -7 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (ჰანზა) | 7 |
| აილტონი (ვერდერი) | 5 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 5 |

### VIII ტური

**4 ოქტომბერი**

ჰანოვერი — შალკე
აინტრახტი — დორტმუნდი
ფრაიბურგი — მიუნხენი
შტუტგარტი — კიოლნი
ვერდერი — ვოლფსბურგი
ლევერკუზენი — ჰანზა
ბაიერნი — ჰერტა
ჰამბურგი — გლადბახი
ბოხუმი — ლაუტერნი

## მეორე ბუნდესლიგა

### VII ტური

### აუე 1:1 ობერჰაუზენი

0:1 სიმონი (39), 1:1 გ. ბერგერი (45)
აუე: რ. პეტკოვი, კრასელტი, ნოვესკი, ემრიხი, გ. ბერგერი, ფ. ბერგერი, ჩიპევი (კურტი 62), რემი, კური, ტომპიოლერი (ბრუმი 76), შუბითიძე (იანკი 62)
8 100 მაყურებელი

### კოტბუსი 3:2 ალენი

1:0, 2:0 სილვა (40, 44), 2:1 რატი (67), 3:1 იორდახე (82), 3:2 ბეეკი (89)

### უნტერჰახინგი 1:1 უნიონი

1:0 კოპადო (43), 1:1 ბაუმგარტი (48)

### ლიუბეკი 3:5 ალემანია

1:0 ზანდი (13), 1:1 ბლანკი (19), 1:2 კრონტირისი (24), 1:3 ბრინკმანი (31), 1:4 კრონტირისი (49), 2:4 ზანდი (63), 2:5 მბვანდო (73), 3:5 ზანდი (77)

### არმინია 3:1 ბურგჰაუზენი

1:0 ოვომოიელა (20), 1:1 მოხტარი (31), 2:1 პორკელიო (55), 3:1 დამაიერი (66პ)

### დუისბურგი 2:1 ნიურნბერგი

1:0 კურტი (20), 1:1 შტელე (59), 2:1 აჰინფუფი (88)

### ფიურტი 1:1 ოსნაბრიუკი

0:1 შიდი (56), 1:1 ინჩემანი (72)

### რეგენსბურგი 2:1 ტრირი

1:0 შტრაუბე (23), 1:1 პეკოვიჩი (40), 2:1 ტოლჩერესი (53)

### მაინცი — კარლსრუე

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| მაინცი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:7 | 14 |
| უნტერჰახინგი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| არმინია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| დუისბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ტრირი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:13 | 11 |
| ალემანია | 7 | 3 | 2 | 2 | 13:17 | 11 |
| ფიურტი | 7 | 2 | 3 | 2 | 15:12 | 9 |
| ნიურნბერგი | 7 | 2 | 3 | 2 | 13:12 | 9 |
| რეგენსბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:11 | 9 |
| ლიუბეკი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 8 |
| ბურგჰაუზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| აუე | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ობერჰაუზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | 8 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| ალენი | 7 | 2 | 0 | 5 | 8:13 | 6 |
| ოსნაბრიუკი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| უნიონი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:9 | 4 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-9 ტური: ვუპერტალი — ესენი 2:0; ბრაუნშვაიგი — დორტმუნდი (მ) 0:4; იურდინგენი — ლაიპციგი 2:4; ვატენშაიდი — შალკე (მ) 1:4; ჰამბურგი (მ) — კილი 1:1; დინამო — ქემნიცი 2:0; ზანკტ პაული — პადერბორნი 2:0; მიუნსტერი — ვერდერი (მ) 0:2; ნოიმიუნსტერი — კიოლნი (მ) 2:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-9 ტური: ოფენბახი — ბაიერნი (მ) 0:4; ფიოხტი — კიკერსი 1:0; ეშბორნი — აალენი 1:3; პფულენდორფი — ვეჰენი 0:0; აუგსბურგი — შვაინფურტი 0:4; ელვერსბერგი — ზაარბრიუკენი 2:2; ჰოფენჰაიმი — ერფურტი 0:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — ზიგენი 2:0; შტუტგარტი (მმ) — მაინცი (მ) 2:0



მარსელი — ნიცა. კამელ მერიემმა (№18) და ნიცელთა მეგოლე ლილიან ლასლანდმა ერთმანეთი ჰაერშიც არ დაზოგეს

# გეყოფათ!
## მფრინავი ლიონი მწვრთნელმა დაამუხრუჭა

### საფრანგეთი
#### I დივიზიონი. VIII ტური

**ბორდო 1:0 აიაჩო**
1:0 დარშევილი (78)

**სტრასბური 1:0 ნანტი**
1:0 კობილიკი (90)

**ლიონი 4:0 ლანსი**
1:0 ჟუნინიო (10), 2:0 რევეილიერი (26), 3:0, 4:0 ჟუნინიო (41, 57)

**მარსელი 2:1 ნიცა**
0:1 ლასლანდი (36), 1:1, 2:1 დროგბა (59, 90)

**ბასტია 2:0 სოშო**
1:0 ი. ბაჟი (7), 2:0 ფლეშზი (21ს.კ.)

**ლილი 1:1 მონპელიე**
1:0 მანჩევი (26), 1:1 კაროტი (89)

**მეცი 1:1 გენგამი**
0:1 ლე რუ (45), 1:1 გეი (90)

**მონაკო 3:0 ტულუზი**
1:0 ადებაიორი (11), 2:0 ე. სისე (30), 3:0 პრსო (50)

**პსჟ 1:0 ოსერი**
1:0 პაულეტა (9)

**რენი 2:0 ლე მანი**
1:0 პიკიონი (34), 2:0 ჟენეკამპი (90)

**ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა** პარიზელ ქომაგებს გული მოულბო. ზედიზედ მესამე მოგებით პსჟ-მ ცხრილის შუაში აინაცვლა. სამ კვირაში ცხრა ქულამ ბოსნიელ სპეციალისტს მტრები შეუმცირა და მოყვარე უმრავლა. დედაქალაქელთა ერთადერთი გოლი „ოსერის" კარში პედრო პაულეტამ გაიტანა. ერთბურთიანი სხვაობით მოგება ჰალილჰოჯიჩის ხელობაა და საქმის ბოლომდე მიყვანა არც ამჯერად გასჭირვებია.

„ლიონმა" ჩემპიონურად ითამაშა. მასპინძლებმა ოთხჯერ უთავაზეს გუნდს, რომელმაც წინა სეზონში სტუმრად გამართულ მატჩებში ოდენ 15 გოლი გაუშვა. „ლანსის" დარბევა ჩია ბრაზილიელმა ჟუნინიომ ითავა. იგი აშკარად იშტაზე იყო და მეათე წუთზე შარლ იტანჟეს საჯარიმო დარტყმით გაუტანა. ტაიმის შუაწელში ანტონი რევეილერმა ერიკ კარიერის პასი შეირგო და ანგარიში ორამდე გაზარდა. შესვენებამდე ჟუნინიომ მეორედ დაზაფრა სტუმართა ნაქები დაცვა, მოგვიანებით ერთიც მიაყოლა და „ლანსი" მეათე ადგილზე გაისტუმრა.

„ჩვენ კიდევ ბევრი გოლის გატანა შეგვეძლო. ბიჭები ფრთაშესხმულებივით დაფრინავდნენ მოედანზე, მაგრამ მე შევუძახე, გეყოფათ-მეთქი, რადგან გლაზგოში „სელტიკთან" საბრძოლველად ძალების დაზოგვა გვჭირდებოდა" — ეს „ლიონის" თავკაც პოლ ლე გუენის სიტყვებია.

„მონაკოც" ასევე იოლად გაუსწორდა მეტოქეს. მეტოქე ჰქვია, თორემ მასპინძლებს „ტულუზის" მოსაგუდად ერთი ტაიმი ეყოთ. ფერნანდო მორიენტესი დიდიე დეშანმა აეკ-ისთვის დაასვენა და ესპანელის პირველი ფრანგული გოლი კვლავ გადაიდო.

„ელ მოროს" მაგივრად სხვებმა იხეირეს. შეხვედრის დასაწყისშივე ემანუელ ადებაიორმა კუთხურიდან ჩაწოდებულს სავოლედ უთავაზა. შემდეგ სტუმართა მეკარე კრისტოფ რევომ წაიმასხარავა — საჯარიმოდან გამოვარდა და ბურთი ისე მოიგერია, რომ ედუარდ სისეს ფეხზე დაასვა. სისემ საკმაოდ შორიდან ცარიელ კარში გაიტანა. შესვენების შემდეგ ხორვატმა დადო პრსომ ტულუზელთა გვემა დაასრულა და მონაკოელებმა ჩემპიონთა ლიგის მოლოდინში თავი დაზოგეს.

„მარსელს" ცხრილის მეზობლებთან შედარებით „ნიცასთან" გაუჭირდა. სამხრეთული გუნდების შეხვედრაში მასპინძელ მეკარეს სტუმარზე მეტი საქმე-სახტუნაო ჰქონდა. ნიცელმა ლილიან ლასლანდმა ვედრან რუნიე საჯარიმოს გარედან ზუსტი დარტყმით დაამწუხრა და ეს გოლი ლაჟვარდოვანთა შეტევების ლოგიკური დასასრული იყო.

მეორე ტაიმისთვის დამხვდურები მწვრთნელმა შეახურა და შედეგიც მალე მიიღო. მიდომ ბურთი დიდიე დროგბას დაუგდო და მარსელელთა ახალწვეულმა ათიოდ მეტრიდან გაათანაბრა.

ალან პერენს ფრემ ხასიათი ვერ გამოუკეთა და მოედანზე მეოთხე ფორვარდი — დიმიტრი სიჩოვი შეუშვა. თავდამსხმელთა სიმრავლემ „ნიცას" საჯარიმოში პენალტი გამოიწვია. სემი ტრაორემ ეგვიპტელი მიდო წაქცია და თერთმეტმეტრიანი დროგბამ უზადოდ შეასრულა.

კორსიკაზე ჩასულ „სოშოს" გუნდის ტრავმირებული ლიდერი, პიერ ალან ფრო აკლდა და „ბასტიას" პირველივე ტაიმში დანებდა. კუთხურიდან ლორან ბატლესის ჩაწოდებული ბურთი იუსუფ ჰაჯიმ თავით კარში გამოამწყვდია, მაკსენ ფლაშეზმა კი საკუთარ კარში შეაგდო.

„ბორდომ" დიდხანს ანერვიულა ქომაგები და მხოლოდ ერთხელ, მატჩის მიწურულს გაახრა. ფლანგიდან ალბერტ რიერას პასს ჟან კლოდ დარშევილმა საგოლე თავური დაჰკრა. ამ გამარჯვებით ჟირონდელებმა ორი საფეხურით აინაცვლეს და ვითარება ოდნავ გაიუმჯობესეს.

„ლე მანი" თოვლის ჰაპად იქცა. ამჯერად ისინი „რენს" ესტუმრნენ და იქაურებს სამი ქულა დაუტოვეს. პირველი გოლი ფრედერიკ პიკიონმა შესვენებამდე მიითვალა, მეორე კი მატჩის დასრულებას წამები რომ აკლდა, მაშინ გავიდა.

ტურის ბოლო შეხვედრაში „სტრასბურმა" „ნანტს" სძლია და ცხრილში შვიდსაფეხურიანი ნახტომი გააკეთა. ერთადერთი გოლი ჩეხების 21-წლამდელთა ნაკრების წევრმა ვლადიმირ კობილიკმა თამაშის მიწურულს შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 8 | 6 | 1 | 1 | 16:7 | 19 |
| მარსელი | 8 | 6 | 0 | 2 | 13:4 | 18 |
| ლიონი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:5 | 14 |
| ნიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 14 |
| ნანტი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:5 | 13 |
| სტრასბური | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 13 |
| სოშო | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 |
| პსჟ | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| ბასტია | 8 | 4 | 1 | 3 | 10:10 | 13 |
| ლანსი | 8 | 4 | 1 | 3 | 5:9 | 13 |
| რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 12 |
| ლილი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| ოსერი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 10 |
| ბორდო | 8 | 3 | 1 | 4 | 7:8 | 10 |
| აიაჩო | 8 | 3 | 1 | 4 | 8:10 | 10 |
| მეცი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:7 | 8 |
| მონპელიე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| გენგამი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | 5 |
| ტულუზი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:12 | 5 |
| ლე მანი | 8 | 0 | 2 | 6 | 1:15 | 2 |

#### II დივიზიონი

9-10 ტური: ამიენი — კრეტეი 1:0; ბეზანსონი — ნანსი 1:3; კაენი — სენტ ეტიენი 1:0; კლერმონი — გენიონი 1:0; გრენობლი — ნიორი 0:1; ლავალი — ანჟერი 3:3; რუანი — შატორუ 1:4; სედანი — ვალანსი 0:0; ტრუა — ლე ავრი 2:0; ისტრი — ლორიანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 10 | 8 | 2 | 0 | 14:2 | 26 |
| ამიენი | 10 | 6 | 3 | 1 | 10:4 | 21 |
| კლერმონი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:9 | 18 |
| ნიორი | 10 | 5 | 2 | 3 | 11:7 | 17 |
| ტრუა | 10 | 4 | 4 | 2 | 12:11 | 16 |
| კაენი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:10 | 15 |
| ლე ავრი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:9 | 15 |
| სენტ ეტიენი | 10 | 5 | 0 | 5 | 9:11 | 15 |
| ლორიანი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:11 | 14 |
| ნანსი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:9 | 13 |
| შატორუ | 10 | 3 | 4 | 3 | 13:13 | 13 |
| სედანი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | 12 |
| გენიონი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 11 |
| რუანი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:12 | 11 |
| ლავალი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| ვალანსი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:11 | 9 |
| ანჟე | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | 9 |
| კრეტეი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:14 | 9 |
| ბეზანსონი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:15 | 8 |
| გრენობლი | 10 | 0 | 6 | 4 | 5:10 | 6 |

# სატურნის დაბნელება
## რომანცევმა პატრონი გააშავა

### რუსეთი
#### პრემიერლიგა. XXVI ტური

**სატურნი 0:3 ტორპედო-მეტალურგი**
0:1, 0:2 ბრაკამონტე (15, 54), 0:3 ლეონოვი (84)

**როსტოვი 0:1 ცსკა**
0:1 ოლიჩი (70)

**რუბინი 1:2 ზენიტი**
0:1 ნიკოლაევი (47), 0:2 მაკაროვი (70), 1:2 სკოტი (86)

**ჩერნომორეცი 1:3 კრილია**
0:1 რაიტი (28), 0:2 კორომანი (55), 1:2 სოსნოვსკი (59), 1:3 პოშკუსი (64)

**დინამო 1:2 შინიკი**
0:1 კუშევი (28პ), 0:2 ხაზოვი (65), 1:2 მენდი (83)

**როტორი 2:0 ტორპედო**
1:0 ოლენიკოვი (73), 2:0 ესიპოვი (86)

**ლოკომოტივი 2:0 სპარტაკ-ალანია**
1:0 ევსეევი (59), 2:0 აშვეთია (60)

**სპარტაკი 1:1 ურალანი**
1:0 პავლიუჩენკო (25), 1:1 ბულიაგა (81)

„ლოკომოტივი" — „სპარტაკ ალანიას" მატჩი პარასკევს იმიტომ გაიმართა, რომ რკინიგზელებს დღეს ლონდონელ მეიოფეებთან ბათქაბუთქი ელით. მოსკოველებმა მანამდე ვლადიკავკაზელები ორჯერ დათოფეს.

„ლოკომოტივი" ერთი დღით ცსკა-ს მიუცუცქდა, მაგრამ სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" რკინიგზელები ისევ ჩამოაქვეითა.

ნევისპირელები ყაზანში უძლეველ „რუბინს" ესტუმრნენ თათარია გუნდი ბოლოს შინ შარშან, 3 აგვისტოს დამარცხდა. მაშინდელი მეტოქე ბედის ირონიით ისევ პეტერბურგული გუნდი, „დინამო" იყო.

მატჩი ფეხბურთის ცოტათი წააგავდა, რადგან პირველი ტაიმის მიწურულს მოთამაშეები უხეშობაზე გადავიდნენ და ვალენტინ ივანოვმა წითელ-ყვითლები უხვად დაარიგა.

მასპინძელთაგან ექვსი, სტუმართაგან კი ორი გააფრთხილეს. მეტოქეებს შეხვედრის მიწურულს თითო კაციც გაუგდეს. ეს უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც ყაზანელმა სკოტიმ ერთი გოლი გაქვითა.

ცსკა-ს ერთი რეალური კონკურენტი — „ზენიტი" შემორჩა, თუმც არმიელებს დარჩენილ ოთხ ტურში შვიდი ქულა სჭირდებათ ჩემპიონობის გასანაღდებლად.

რამენსკოეს „სატურნის" პატრონი გასულ კვირას ბაქიაობდა, ოლეგ რომანცევი ყველაზე სახელოვანი რუსია, მთავარ მწვრთნელად ამიტომაც დავნიშნეთო.

სახელოვანმა სპეციალისტმა „სატურნის" ისტორიაში ალბათ უშავესი ფურცელი ჩააკრა — „ტორპედო-მეტალურგთან" დიდი ანგარიშით დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 16 | 6 | 4 | 50:28 | 54 |
| ზენიტი | 26 | 14 | 6 | 6 | 41:30 | 48 |
| ლოკომოტივი | 26 | 13 | 6 | 7 | 42:31 | 45 |
| დინამო | 26 | 12 | 8 | 6 | 41:26 | 44 |
| რუბინი | 26 | 12 | 8 | 6 | 36:24 | 44 |
| სატურნი | 26 | 11 | 9 | 6 | 34:28 | 42 |
| შინიკი | 26 | 10 | 11 | 5 | 36:25 | 41 |
| კრილია | 26 | 10 | 9 | 7 | 36:27 | 39 |
| ტორპედო | 26 | 8 | 9 | 9 | 33:33 | 33 |
| სპარტაკი | 26 | 9 | 5 | 12 | 36:43 | 32 |
| როსტოვი | 26 | 8 | 8 | 10 | 27:34 | 32 |
| როტორი | 26 | 7 | 5 | 14 | 30:39 | 26 |
| ალანია | 26 | 7 | 3 | 16 | 18:41 | 24 |
| ურალანი | 26 | 4 | 10 | 12 | 18:38 | 22 |
| ჩერნომორეცი | 26 | 5 | 6 | 15 | 26:40 | 21 |
| ტ. მეტალურგი | 26 | 5 | 5 | 16 | 20:37 | 20 |


სატურნი — ტორპედო-მეტალურგი. მასპინძელთა რბევა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ბრაკამონტემ (მარჯვნივ) ამ გოლით დაიწყო

### თურქეთი
#### სუპერლიგა. VII ტური

დენიზლი — მალათია 1:0; რიზე — დიარბაქირი 2:1; სებათი — გაზიანთეფი 1:2; ბეშიქთაში — ტრაბზონი 5:0; სამსუნი — ელაზიგი 2:0; ფენერბაჰჩე — გენჩლერი 1:0; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 2:1; ბურსა — კონია 2:1; ადანა — გალათასარაი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 7 | 6 | 1 | 0 | 19:5 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 5 | 1 | 1 | 16:8 | 16 |
| ისთანბული | 7 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 14 |
| გალათასარაი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:8 | 14 |
| რიზე | 7 | 4 | 2 | 1 | 9:8 | 14 |
| მალათია | 7 | 4 | 0 | 3 | 12:7 | 12 |
| დენიზლი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:7 | 11 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 10 |
| გაზიანთეფი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 10 |
| ტრაბზონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:12 | 10 |
| კონია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| გენჩლერი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:9 | 7 |
| სამსუნი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:18 | 7 |
| დიარბაქირი | 7 | 2 | 0 | 5 | 9:13 | 6 |
| ადანა | 7 | 2 | 0 | 5 | 6:10 | 6 |
| ბურსა | 7 | 1 | 3 | 3 | 4:10 | 6 |
| ელაზიგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:19 | 5 |
| სებათი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:14 | 3 |

### საბერძნეთი
#### I დივიზიონი. V ტური

პროდეფტიკი — აკრატიტოსი 1:1; პანილიაკოსი — პაოკ 1:4; ეგალეო — ირაკლისი 2:0; ხალკიდონა — კალითეა 1:1; არისი — ოფი 1:2; ქსანთი — ოლიმპიაკოსი 1:3; პანიონიოსი — აეკ 2:2; პანათინაიკოსი — იონიკოსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:2 | 12 |
| პაოკ | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| აეკ | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| ეგალეო | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| არისი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| პანიონიოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 8:7 | 7 |
| ოფი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| პროდეფტიკი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| ხალკიდონა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| პანილიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| აკრატიტოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:12 | 4 |
| კალითეა | 5 | 0 | 3 | 2 | 7:10 | 3 |
| იონიკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| ქსანთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ანდერლეხტი — ბაიერნი

### სელტიკი — ლიონი



ტრავმებისგან შეთხელებულ „ბაიერნს" დაცვაში ბიქსენტ ლიზარაზუსი, წინ კი როი მაკაის იმედება

## ვარიაციები მერე იყოს

**ამ ტურში** წინა ტურის დამარცხებულები გამარჯვებულებს ხვდებიან და დღეს ღამით ეგებ ოთხივე გუნდს თანაბარი ქულები დაუგროვდეს. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ პირველ ტურში გამარჯვებულებმა კვლავაც მოიგონ და დამარცხებულებთან სხვაობა საგანგაშო გახადონ.

ცხადია, რამდენიმე სხვა ვარიანტიც არსებობს, მაგრამ მათზე ნუღარ შევჩერდებით, რადგან წინ კიდევ ბევრი ტურია და ვარიანტებზე მსჯელობა მთლად მართებული არ არის.

მაშ ასე, „ანდერლეხტი" „ბაიერნს" მასპინძლობს და გარემარბი კრისტიან ვილჰელმსონი არ ეყოლება. წინა პარასკევს მან მუხლი იტკინა და მოედანს სულ მცირე ექვსი კვირით ჩამოშორდა. მყესის დაზიანების გამო საეჭვოა მარჯვენა მცველ ოლივიე დოლის თამაშიც.

მიუნხენელთა ინგლისელმა ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივსმა კი ბუნდესლიგის წინა ტურის მატჩი ორმაგი მიზეზით გამოტოვა — კუნთი აწუხებდა და თან გრიპიც შეეყროდა. დღეისთვის ის ფორმაშია და ალბათ უეჭველად ითამაშებს, რადგან ოტმარ ჰიცფელდს ხალხი აკლია: სებასტიან დაისლერი, იენს იერემისი და მეჰმეთ შოლი ჯერაც მკურნალობენ. ამავე მიზეზით, ხალხის უკმარისობის გამო პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუზი ნახევარდაცვაში დაიხევს, შეტევაში კი „ბაიერნს" ჰოლანდიელი როი მაკაი და პერუელი კლაუდიო პიზარო ეყოლება.

ოლივერ კანი კი იუბილარი გახლავთ — დღევანდელი მატჩი ევროთასებზე მისთვის მეასეა.

ჯგუფის მეორე მატჩში „სელტიკი" „ლიონს" მასპინძლობს. შოტლანდიელთა გასახარად, გუნდს ბელგიელი მცველი იოს ვალგაერენი დაუბრუნდა, მაგრამ სამწუხარო ამბავთა ჩამონათვალი გაცილებით უფრო ვრცელია. კაპიტან იოჰან მიალბის, სტივ გაპის, პოლ ლამბერტს, ულრიკ ლაურსენს და სტივენ კრეინის ტრავმები სტანჯავთ.

„ლიონმა" კი უქმეებზე ფრანგულ ჩემპიონატში ქუთაისის „ტორპედოს" მტარვალ „ლანსს" 4:0 მოუგო, რაც ლიონელთათვის ზედიზედ მესამე გამარჯვება გამოდგა. იმ მატჩში ნახევარდაცვაში შეუდარებლები იყვნენ ჟუნინიო და ერიკ კარიერი, რომლებიც დღეს მოედანზე იქნებიან, შეტევას კი ჯოვანი ელბერი გაუძღვება.

ფრანგთა ერთადერთი დანაკლისი კრისტოფ დელმოტია, ერიკ დეფლანდრემ კი მტკივანი ფეხი უკვე მოირჩინა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სელტიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

## B ჯგუფი

### ინტერი — დინამო

### ლოკომოტივი — არსენალი

## არსენალი აღარ ისრიალებს

**ლონდონის** „არსენალს" მოსკოვის გაგონებაზე ალბათ „სპარტაკი" ახსენდება, რომელთანაც რამდენიმე წლის წინ რუსულ ყინულზე 1:4 წააგო. „მეთოფეთა" ამჟამინდელი მეტოქე ბოლო ჟამს მოკეთებული „ლოკომოტივია". ორივე გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მარცხით დაიწყო, რითაც გაირთულა საქმე, თუმცა დღევანდელ მატჩს ინტრიგა შემატა.

„არსენალმა" პარასკევს საკმაოდ მძიმე ბრძოლაში „ნიუკასლს" სძლია. „ლოკომ" კი იმავე დღეს — „სპარტაკ-ალანიას". მოსკოველები სეზონის მიწურულს ჩემპიონატში უკეთ ათამაშდნენ, თუმცა კიევის „დინამოსთან" სალიგო მატჩში წნეხს ვერ გაუძლეს და გატყდნენ. იური სიომინის მთავარი სადარდებელიც ეს არის — ფიზიკური მომზადება.

„არსენალი" ამ მხრივ უკეთესად გამოიყურება, თუმცა ძირითადი შემადგენლობის ოთხ ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს. პატრიკ ვიეირა, ეშლი კოული და მარტინ კიოუნი სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, ფრედერიკ ლიუნგბერგი კი ლაზარეთში გაგზავნეს. სოლ კემპბელის თამაში საეჭვოა, დენის ბერხკამპის ამბავი კი ძველია, მაგრამ შეგახსენებთ — ფრენის შიში აქვს.

მილანის „ინტერი" კიევის „დინამოზე" კლასით მაღალი გუნდია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ინტერელები ჯანით დინამოელებს დაჯაბნიან. ამიტომ დღეს ექტორ რაულ კუპერის ბიჭებს მძიმე ბრძოლა და წალმა-უკუღმა სირბილი ელით.

მასპინძლებს მარკო მატერცი არ ეყოლებათ, რომელიც შაბათს „უდინეზესთან" დაშავდა. დაცვის ცენტრს ივან კორდობა და ფაბიო კანავარო აითვისებენ, მარცხნივ ახალწვეული ფრანგი ჟერემი ბრეშე იქნება, მარჯვნივ კი ხავიერ ძანეტი. ანდი ვან დერ მეიდეთი და კრისტიანო ძანეტით შეზავებული მილანური შუა ხაზი ხულიო კრუზს და ობაფემი მარტინსს მოემსახურება.

„ლოკომოტივის" კარში ორი გოლის გამტანი კიეველთა ბრაზილიელი დიოგო რინკონი „ობოლონთან" მატჩში მსუბუქად დაშავდა. მიხაილიჩენკომ იგი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა, რინკონის და ხორვატი იერკო ლეკოს გამოჩენა „სან სიროზე" საეჭვოა და ექიმთა გადასაწყვეტია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## C ჯგუფი

### დეპორტივო — პსვ ეინდჰოვენი

### მონაკო — აეკ

## დეშანმა მორიენტესი გამოიზოგა

„**მონაკოს**" მწვრთნელმა დიდიე დეშანმა ფერნანდო მორიენტესი შაბათს ძალთა დაზოგვის გამო „ტულუზთან" არ ათამაშა, რათა ტიტულოვანი ექსმადრიდელი ათენურ აეკ-თან „ლუი მეორეზე" სამშაბათის საჩემპიონთალიგო შეხვედრაში სრულ საბრძოლო ფორმაში ყოფილიყო. თუ ფრანგები ამ შეხვედრის მოგებასაც შეძლებენ („მონაკომ" წინა შეხვედრაში ჰოლანდიური პსვ დაამარცხა), C ჯგუფში მათ ერთპიროვნულ ლიდერობას საფრთხე აღარ დაემუქრება. „მონაკო" აეკ-ს აქამდე ექვსჯერ შეხვდა — საფრანგეთში ჩატარებული სამივე მატჩი მოიგო, ხოლო ელინთა მიწაზე სამჯერვე ფრე გაახერხა. ბოლოს ეს გუნდები 2000 წელს „ლუი მეორეზე" უეფას თასზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს (1:0 „მონაკოს" სასარგებლოდ). „ჯერ კიდევ ბევრი შრომა გვმართებს მიზნის მისაღწევად, თუმცა, იმედი მაქვს, რომ აეკთანაც გავიმარჯვებთ და ლიგის შემდგომ ეტაპზეც გავალთ" — განაცხადა დიდიე დეშანმა. ფრანგთა მეტოქე კი 17 სექტემბერს „დეპორტივოსთან" საკუთარ „აპოსტოლოს ნიკოლაიდისზე" მიღწეული უხერხული ფრის კომპენსაციას მონაკოში გამარჯვებით შეეცდება. აეკ-ი ბერძნულ ჩემპიონატში უქმეებზე „პანიონიოსთან" 0:2 აგებდა, თუმცა გათანაბრება და მატჩის გადარჩენა შეძლო. ელინთა გოლეადორი გეორგიასი 1 ოქტომბერს ალბათ კვლავაც მოედნის მარცხენა ფლანგზე იბურთავებს, ოკასი კი აეკ-ის ერთადერთი თავდამსხმელი იქნება.

გალისიურ „რიასორზე" ხავიერ ირურეტას „დეპორტივო" გუს ჰიდინკის „პსვ ეინდჰოვენს" უმასპინძლებს. ორივე გუნდმა საკუთარი ქვეყნის პირველობათა ბოლო შეხვედრებში მარცხი განიცადა — „დეპორმა" პამპლონაში „ოსასუნასთან" 2:3 წააგო, ხოლო პსვ-მ შინ „ალკმაართან" ვერაფერი გააწყო — 0:1. გალისიური კლუბის დანაკლისი „რიასორზე" ენრიკე რომერო იქნება. ყოვლად უცნაური და არასაფეხბურთო ტრავმის გამო (საწყალ ექტორს პამპლონას აეროპორტში გველგესლამ უკბინა) მას ხუან კაპდევილა შეცვლის.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აეკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პსვ ეინდჰოვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

## D ჯგუფი

### გალათასარაი — სოსიედადი

### ოლიმპიაკოსი — იუვენტუსი

## ათენში იუვე ქსანთი ჰგონიათ

„**ოლიმპიაკოსმა**" უქმეებზე „ქსანთის" 3:1 მოუგო, საბერძნეთის ჩემპიონატის ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრდა, ლიდერ „პანათინაიკოსს" ერთადერთი ქულით ჩამორჩება და ასეთ ჩინებულ გუნებაზე დამდგარი ელის „იუვენტუსს".

„ნუ გეშინიათ, „იუვენტუსი" დიდი გუნდია, მაგრამ თავს არ შევაჭმევინებთ. — განუცხადა ბერძენ ჟურნალისტებს „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა. საინტერესოა, რომ 19 წლის ნერი კასტილიომ „ქსანთისთან" ისე კარგად ითამაშა, რომ ტურინელებთან პროტასოვი, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს.

„იუვე", რომელიც ათენში „ქსანთი" ჰგონიათ, რეჯო კალაბრიაში 2:0 გამარჯვების შემდეგ დაცვის ცენტრში ნიკოლა ლეგროტალიეს დაიბრუნებს და პაოლო მონტეროს ამოუყენებს მხარში. განსაკუთრებით ძლიერი „ბებერ ქალბატონს" ნახევარდაცვა ეყოლება: სტეფან აპია, ედგარ დავიდსი და ალესიო ტაკინარდი. წინ ტრეზეგე და დი ვაიო.

სტამბოლში კი „გალათასარაი" „რეალ სოსიედადს" იმავე შემადგენლობით შეხვდება, რომლითაც ორი კვირის წინ „იუვენტუსთან" დამარცხდა. ფათიჰ თერიმი და მისი შეგირდები „ადანასფორთან" სტუმრად 2:0 მოგების შემდეგ თურქეთის პირველობის ცხრილში მეოთხენი არიან და ლიდერ „ბეშიქთაშს" ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

„სოსიედადის" ამბავი გახსოვთ: პირველ ტურში შინ მოუგო „ოლიმპიაკოსს", ესპანეთის პირველობის ბოლო ტურში ბასკურ დერბიში ბილბაოს „ატლეტიკთან" 0:1 წააგო. მოგეხსენებათ, „სოსიედადში" თამაშობს „ბეშიქთაშის" ყოფილი ფორვარდი, „გალათასარაისთან" მრავალჯერ ნათამაშევი ნიჰატ კაჰვეჩი, ნიჭიერი გარემარბი ხავი დე პედრო კი „ატლეტიკთან" ჩინებული თამაშის გამო, ალბათ, ძირითადში დაბრუნდება.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |



საბერძნეთში თამაში ძნელია: ჯანლუიჯი ბუფონს „ოლიმპიაკოსთან" საქმე არ მოაკლდება

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 014 | ბრედფორდი-დერბი | 2.3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 23.45 | 015 | კარდიფი-უიგანი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.45 | 016 | ნორვიჩი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 017 | როტერჰემი-სტოუკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.45 | 018 | უოტფორდი-ბარნლი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.45 | 019 | ვესტ ბრომვიჩი-მილუოლი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 23.45 | 020 | უიმბლდონი-შეფილდი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 24.00 | 021 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1,8 | 3,3 | 4.0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 022 | ქოვენტრი-ქრიუ | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 23.45 | 023 | ნოტინგემი-პრესტონი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2.1 |
| 23.45 | 024 | ვესტ ჰემი-კრისტალ პალასი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 040 | ბლეკპული-გრიმსბი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 23.45 | 041 | ჩესტერფილდი-ბორნმუთი | 2,9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 23.45 | 042 | კოლჩესტერი-ბრენტფორდი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 23.45 | 043 | ჰარტლპული-რექსჰემი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.45 | 044 | ოლდემი-სტოკპორტი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 23.45 | 045 | პლიმუთი-ბრისტოლი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 046 | პორტ ვეილი-პიტერბორო | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 23.45 | 047 | ქუინს პარკი-ბარნსლი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 23.45 | 048 | რაშდენი-ბრაიტონი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 23.45 | 049 | ტრანმერი-უიკომი | 1.8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1.22 | 1,76 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 050 | უესხი-ნოტსი | 1.5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.45 | 051 | სუინდონი-ლუტონი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 067 | სკანთორპი-ჩელტენემი | 1.85 | 3.3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.45 | 068 | როჩდეილი-მენსფილდი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 069 | ბერი-იორკი | 2,35 | 3.3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| 23.45 | 070 | კემბრიჯი-დონკასტერი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1,23 | 1,25 | 1.64 |
| 23.45 | 071 | კარლაილი-ლეიტონი | 2.2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 23.45 | 072 | დარლინგტონი-საუთენდი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 23.45 | 073 | ჰადერსფილდი-კიდერმინსტერი | 1.55 | 3.5 | 5.6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 23.45 | 074 | ჰალი-სუონსი | 1.8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 075 | ლინკოლნი-ნორთჰემპტონი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 23.45 | 076 | მაკლსფილდი-რინდეილი | 2.3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.45 | 077 | იოვილი-ბოსტონი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 078 | ოქსფორდი-ტორკი | 1,7 | 3,4 | 4.4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). X ტური** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 173 | აალენი-ელვერსბერგი | 1,7 | 3,4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1 87 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 174 | ზიგენი-ოფენბახი | 1.95 | 3,3 | 3.3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 22.00 | 175 | კობლენცი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.30 | 176 | ერცგებირგე-ფულენდორფი | 1.75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 359 | შტურმი-გრაცერი | 3.1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 22.30 | 360 | კერნტენი-ადმირა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 375 | აარაუ-სტ.გალენი | 2.0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 376 | თუნი-სერვეტი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.30 | 377 | ვილი-გრასჰოპერი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| 22.30 | 378 | ქსამაქსი-ბაზელი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 418 | ორგრიტე-გეტებორგი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| | | **არგენტინა. აპერტურა. VII ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 03.05 | 614 | ოლიმპო-ინდეპენდიენტე | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 05.05 | 615 | კოლონი-ნიუელსი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 05.30 | 616 | სან ლორენსო-ესტუდიანტესი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 617 | ჩაკარიტა-რასინგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 24.00 | 618 | ბანფილდი-კილმესი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1.23 | 1,64 |
| 01.00 | 619 | ბოკა ხუნიორსი-ლანუსი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2.6 |
| | 620 | ბოკა ხუნიორსი-ლანუსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 02.30 | 621 | ველესი-ტალიერესი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 03.20 | 622 | არსენალი-რივერ პლეიტი | 3,2 | 3,2 | 2,05 | 1,6 | 1,24 | 1,24 |
| 04.00 | 623 | როსარიო-ატლეტიკო | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 04.05 | 624 | ხიმნასია-ნუევა ჩიკაგო | 1.7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **იტალია. თასი. III ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 695 | სალერნიტანა-რეჯანა | 3,5 | 2,9 | 2,1 | 1,58 | 1,31 | 1.21 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 696 | პალერმო-ბრეშა | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.30 | 697 | ვენეცია-ემპოლი | 3,1 | 2,8 | 2,35 | 1,47 | 1,33 | 1,27 |
| 23.30 | 698 | სამბენედეტესე-მოდენა | 3,4 | 2,8 | 2,2 | 1,53 | 1,33 | 1.23 |
| 23.30 | 699 | ტერნანა-სიენა | 3,8 | 2,9 | 2,0 | 1,64 | 1,31 | 1,18 |
| 23.45 | 700 | პიაჩენცა-სამპდორია | 4.8 | 3,4 | 1,65 | 1.99 | 1,22 | 1,11 |
| 23.45 | 701 | ჩეზენა-პერუჯა | 3.8 | 2,9 | 2,0 | 1,64 | 1,31 | 1,18 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 702 | ბრინდიზი-ბოლონია | 4,8 | 3,4 | 1,65 | 1,99 | 1,22 | 1,11 |
| | | **ავსტრია. თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 703 | ლინცერი-ლუსტენაუ | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **შვედეთი. თასი. ¼ ფინალი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 704 | ორგრიტე-აიკ | 1.75 | 3,4 | 4.2 | 1.15 | 1,23 | 1,87 |
| | | **ნორვეგია. თასი. ½ ფინალი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 705 | როზენბორგი-სკეიდი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4.19 |
| | | **სლოვაკეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 707 | ბ.ბისტრიცა-ჟილინა | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1.32 | 1,26 | 1,47 |
| | | **სლოვენია. თასი. ¼ ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 708 | მარიბორი-პუბლიკუმი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **პოლონეთი. თასი. ¼ ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 709 | კატოვიცე-ამიკა | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 710 | პოლკოვიცე-ლეხი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| | | **იაპონია. თასი. ½ ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 711 | კაშიმა-ივატა | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 15.00 | 712 | შიმიცუ-ურავა | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1.41 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. II ტური** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 713 | ლოკომოტივი-არსენალი | 4,4 | 3,3 | 1.75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 714 | მონაკო-აეკ | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 715 | დეპორტივო-პსვ | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 716 | დეპორტივო-პსვ 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 23.45 | 717 | ოლიმპიაკოსი-იუვენტუსი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1.19 |
| 23.45 | 718 | გალათასარაი-სოსიედადი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1.64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 719 | სელტიკი-ლიონი | 1,95 | 3,2 | 3.6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.45 | 720 | ანდერლეხტი-ბაიერნი | 3.4 | 3.2 | 2,05 | 1.64 | 1,27 | 1.24 |
| 23.45 | 721 | ინტერი-დინამო | 1,3 | 4.6 | 9,0 | 1.01 | 1,13 | 3,04 |
| | 722 | ინტერი-დინამო 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,0 | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 723 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 2,1 | 3.2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 23.45 | 724 | შტუტგარტი-მანჩესტერი | 3,5 | 3,2 | 2.0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 23.45 | 725 | პორტუ-რეალი | 3.8 | 3.2 | 1.9 | 1.73 | 1,26 | 1,19 |
| 23.45 | 726 | მარსელი-პარტიზანი | 1.4 | 3,8 | 8.0 | 1.02 | 1,19 | 2.57 |
| | 727 | მარსელი-პარტიზანი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.45 | 728 | ლაციო-სპარტა | 1.25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1.11 | 3.33 |
| | 729 | ლაციო-სპარტა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23 45 | 730 | ჩელსი-ბეშიქთაში | 1,25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 731 | ჩელსი-ბეშიქთაში 0:1 | 1.65 | 3.3 | 3,3 | | | |
| 23.45 | 732 | სელტა-მილანი | 2.8 | 3,0 | 2.45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |
| 23.45 | 733 | აიაქსი-ბრიუგე | 1.55 | 3,6 | 6,5 | 1.08 | 1.25 | 2,31 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 12.30 | 1001 | ამური-ტორპედო | 1,25 | 6,0 | 6.0 | 1.03 | 1,03 | 3 |
| 16.30 | 1002 | ავანგარდი-ლადა | 1,65 | 5,0 | 3.1 | 1,24 | 1,07 | 1.91 |
| 19.30 | 1003 | ხიმიკი-სალავატი | 2.45 | 4 8 | 1,9 | 1.62 | 1,07 | 1.36 |
| 19.30 | 1004 | აკ ბარსი-დინამო | 1.85 | 4,6 | 2.6 | 1,31 | 1,08 | 1,66 |
| 19.30 | 1005 | ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.35 | 4,8 | 2.0 | 1.57 | 1,08 | 1.41 |
| 20.00 | 1006 | ცსკა-ლოკომოტივი | 2.9 | 5,0 | 1.7 | 1,83 | 1.07 | 1.26 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14.00 | 1007 | სევერსტალი-სკა | 1,35 | 5.0 | 5.0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 14.00 | 1008 | ნოვოკუზნეცკი-ხიმიკი | 1.65 | 4.8 | 3,2 | 1,22 | 1.08 | 1.92 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1023 | ზლინი-ზნოიმო | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1.33 | 1.11 | 1.6 |
| 20.00 | 1024 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1,8 | 4,2 | 2.9 | 1,26 | 1,11 | 1.71 |
| 20.00 | 1025 | ლიტვინოვი-ტრჟინეცი | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1.44 | 1,12 | 1.48 |
| 20.30 | 1026 | ბუდეიოვიცე-კლადნო | 1.95 | 4.2 | 2.6 | 1.33 | 1,11 | 1.6 |
| 21.00 | 1027 | ლიბერეცი-სპარტა | 2,9 | 4.2 | 1.8 | 1,71 | 1,11 | 1.26 |
| 21.00 | 1028 | პარდუბიცე-ხავირჟოვი | 1.25 | 6.0 | 6.0 | 1.03 | 1.03 | 3 |
| 21.00 | 1029 | სლავია-კარლოვი ვარი | 1,6 | 4.8 | 3,4 | 1.2 | 1,08 | 1.99 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1044 | ნიტრა-ზვოლენი | 2,8 | 4,2 | 1,85 | 1.68 | 1,11 | 1,28 |
| 20.00 | 1045 | პოპრადი-ჟილინა | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1.44 | 1,12 | 1.48 |
| 20.00 | 1046 | ტრენჩინი-მარტინი | 1,2 | 6,0 | 7.5 | 1 | 1,03 | 3.33 |
| 20.00 | 1047 | კოშიცე-სლოვანი | 2.5 | 4.2 | 2,0 | 1,56 | 1,11 | 1,35 |
| 20.00 | 1048 | მიკულაში-სკალიცა | 2,25 | 4.2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1059 | კიოლნი-ფრანკფურტი | 1,65 | 4,6 | 3,3 | 1,21 | 1,1 | 1,92 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1074 | კლოტენი-რაპერსვილი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1.12 | 1.07 | 2.28 |
| 22.30 | 1075 | სერვეტი-დავოსი | 2,25 | 4.2 | 2.25 | 1,46 | 1.12 | 1,46 |
| 22.30 | 1076 | ცუგი-ბაზელი | 1.35 | 5.0 | 5,0 | 1.06 | 1,06 | 2.5 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1089 | ფერიესტადი-ლინშიოპინგი | 1,35 | 5,0 | 5.0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 22.00 | 1090 | სიოდერტელიე-ბრინესი | 1,65 | 4.8 | 3,2 | 1,22 | 1,08 | 1,92 |
| 22.00 | 1091 | იურგორდენი-ლეკსანდი | 1,65 | 4.8 | 3.2 | 1,22 | 1.08 | 1.92 |
| 22.00 | 1092 | ჰვ 71-ლულეო | 1,45 | 5.0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| 22.00 | 1093 | ტიმრო-ფრიოლუნდა | 2,5 | 4,2 | 2,0 | 1,56 | 1,11 | 1,35 |
| 22.00 | 1094 | მოდო-მალმიო | 1.75 | 4,4 | 3.0 | 1,25 | 1,1 | 1.78 |

**კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს**

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

| I ეტაპი, IX ტური | შტამპის ადგილი | I ეტაპი, IX ტური ჩაბარების ბოლო ვადაა 03.10.03 |
|---|---|---|
| სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------- |  | სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------- |
| რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 03.10.03 |  | მისამართი ----------------- |
|  |  | საკონტაქტო ტელეფონი ----------------- |

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 04.10 | ლივერპული - არსენალი |  | 16.30 | 04.10 | ლივერპული - არსენალი |  |
| 19.00 | 04.10 | ნიუკასლი - საუთჰემპტონი |  | 19.00 | 04.10 | ნიუკასლი - საუთჰემპტონი |  |
| 19.00 | 04.10 | ტოტენჰემი - ევერტონი |  | 19.00 | 04.10 | ტოტენჰემი - ევერტონი |  |
| 16.30 | 04.10 | რეინჯერსი - სელტიკი |  | 16.30 | 04.10 | რეინჯერსი - სელტიკი |  |
| 18.30 | 04.10 | აინტრახტი - დორტმუნდი |  | 18.30 | 04.10 | აინტრახტი - დორტმუნდი |  |
| 18.30 | 04.10 | ჰამბურგი - გლადბახი |  | 18.30 | 04.10 | ჰამბურგი - გლადბახი |  |
| 18.30 | 04.10 | ბოხუმი - კაიზერი |  | 18.30 | 04.10 | ბოხუმი - კაიზერი |  |
| 23.00 | 04.10 | სოშო - პსჟ |  | 23.00 | 04.10 | სოშო - პსჟ |  |

**I ეტაპი, X ტური** — **I ეტაპი, X ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 05.10 | ლაციო - კიევო |  | 18.00 | 05.10 | ლაციო - კიევო |  |
| 21.00 | 05.10 | პერუჯა - რეჯინა |  | 21.00 | 05.10 | პერუჯა - რეჯინა |  |
| 21.30 | 05.10 | ინტერი - მილანი |  | 21.30 | 05.10 | ინტერი - მილანი |  |
| 19.00 | 05.10 | ბარსელონა - ვალენსია |  | 19.00 | 05.10 | ბარსელონა - ვალენსია |  |
| 19.00 | 05.10 | დეპორტივო - ატლეტიკო |  | 19.00 | 05.10 | დეპორტივო - ატლეტიკო |  |
| 19.00 | 05.10 | ბეტისი - ბილბაო |  | 19.00 | 05.10 | ბეტისი - ბილბაო |  |
| 19.00 | 05.10 | მალიორკა - ოსასუნა |  | 19.00 | 05.10 | მალიორკა - ოსასუნა |  |
| 23.45 | 05.10 | მარსელი - ბასტია |  | 23.45 | 05.10 | მარსელი - ბასტია |  |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 4 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 4 ოქტომბერს)

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37 და მის ფილიალში, მეტრო „ახმეტელის თეატრი", მინისქვეშა გადასასვლელი მუხიანის მხარეს.*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"*
*6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"*
*8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"*
*9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15*
*13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

**პასუხი კონკურსანტთა კითხვებზე: პროგნოზის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ანგარიში. შეიძლება პროგნოზის ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტების ჩაბარება (დებულების მე-13 პუნქტი) კონკურსის დებულება იხილეთ გაზეთ „ახალ ვერსიაში"**

*მესამე და მეოთხე ტურის წინასწარი შედეგები იხილეთ გაზეთ „ახალი ვერსიის" 29 სექტემბრის ნომერში, ხოლო ოთხი ტურის წინასწარი შედეგები ჟურნალ „ულტრის" 30 სექტემბრის ნომერში*

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VI ტური

**ფერეირა 0:3 ალვერკა**
0:1 რ. ლიმა (65), 0:2 რამირესი (83პ), 0:3 მ. ვარგასი (85)

**ბრაგა 0:2 ბეირა მარი**
0:1 ვკები (16), 0:2 პეტროლინა (59)

**ამადორა 1:0 მარიტიმუ**
1:0 მირან სილვა (15)

**ლეირია 2:1 მორეირენსე**
0:1 ჯ. ლიმა (4), 1:1 მ. კუნია (56), 2:1 ბილრუ (90)

**ბენფიკა 1:0 ნასიონალი**
1:0 მენდეში (25)

**აკადემიკა 0:1 ბელენენსეში**
0:1 ანშოე (82)

**გიმარაეში 1:2 პორტუ**
1:0 რ. ალმეიდა (5), 1:1 დერლეი სილვა (10), 1:2 კოსტინია (79)

**რიუ ავე 1:2 ბოავიშტა**
0:1 ფ. ფერი (37), 1:1 ვ. ალმეიდა (58), 1:2 სილვეირა (65)

***სპორტინგი — ჟილ ვისენტე***
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 5 | 1 | 0 | 14:4 | 16 |
| მარიტიმუ | 6 | 4 | 1 | 1 | 5:2 | 13 |
| ბოავიშტა | 6 | 3 | 3 | 0 | 6:2 | 12 |
| ბეირა მარი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ალვერკა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:3 | 10 |
| ბრაგა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| სპორტინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| მორეირენსე | 6 | 3 | 0 | 3 | 5:6 | 9 |
| ბელენენსეში | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| ბენფიკა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| აკადემიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ლეირია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ნასიონალი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:6 | 6 |
| ამადორა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| გიმარაეში | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| ფერეირა | 6 | 1 | 0 | 5 | 2:12 | 3 |
| რიუ ავე | 6 | 0 | 2 | 4 | 3:7 | 2 |

### II დივიზიონი

მე-6 ტური: ფეირენსე — კოვილია 3:1; პორტიმონენსე — სალგეიროში 2:3; ნავალი — სანტა კლარა 2:2; ოვაირენსე — მარკუ 1:1; ლეიშოეში — სეტუბალი 1:1; შავეში — ავეში 3:2; მადეირა — მაია 3:2; ვარზიმი — ესტორილი 1:0; პენაფიელი — ფელგეირაში 2:0

## ბელგია

### იუპილერლიგა. VII ტური

**ბეერსხოტი 0:2 გენტი**
0:1 მაშუტი (42), 0:2 ვან დოორენი (54ს.კ.)

**ჰეუსდენი 2:4 ანდერლეხტი**
0:1 ზეტერბერგი (45), 1:1 დე კამარგო (56), 2:1 სუზუკი (63), 2:2 ზეტერბერგი (76), 2:3 მორნარი (80), 2:4 ზეტერბერგი (88)

**სტანდარდი 0:2 ლუვიე**
0:1 ოდემვინგი (20), 0:2 ვან დენ ბოში (90)

**შარლერუა 1:1 სენტ ტრუიდენი**
1:0 ტრაორე (4), 1:1 იანსენი (50)

**ბრიუგე 3:0 ბევერენი**
1:0 ვერპეინი (52), 2:0 მენდოსა (82), 3:0 დემეტსი (88ს.კ.)

**ლიერსი 3:5 გენკი**
1:0 დე ვილდე (4), 1:1 ბეხლია (12), 2:1 მასენსი (36პ), 3:1 ტომპსონი (42), 3:2, 3:3 რუსელი (69, 79), 3:4 ინგრაო (81), 3:5 ზოკორა (87)

**მონსი 0:0 სერკლ ბრიუგე**

**მუსკრონი 2:0 ანტვერპენი**
1:0 მ. მპენზა (44), 2:0 მიხალ ჟევლაკოვი (45)

**ლოკერენი 1:3 ვესტერლო**
0:1 პაასი (19), 0:2, 0:3 იანსენსი (25, 48), 0:3 დე ბიული (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 7 | 7 | 0 | 0 | 25:5 | 21 |
| ბრიუგე | 7 | 4 | 2 | 1 | 16:7 | 14 |
| გენკი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:6 | 14 |
| მუსკრონი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:9 | 12 |
| გენტი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:9 | 12 |
| სენტ ტრუიდენი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:7 | 12 |
| ლიერსი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| ლუვიე | 7 | 2 | 4 | 1 | 8:5 | 10 |
| სტანდარდი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 10 |
| ბეერსხოტი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| ვესტერლო | 7 | 2 | 3 | 2 | 10:12 | 9 |
| სერკლი | 7 | 2 | 3 | 2 | 3:6 | 9 |
| ანტვერპენი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:14 | 7 |
| ბევერენი | 7 | 2 | 0 | 5 | 9:16 | 6 |
| შარლერუა | 7 | 0 | 4 | 3 | 2:6 | 4 |
| მონსი | 7 | 0 | 4 | 3 | 5:12 | 4 |
| ჰეუსდენი | 7 | 0 | 2 | 5 | 2:11 | 2 |
| ლოკერენი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | 2 |

### II დივიზიონი

მე-7 ტური: სტრომბეკი — აალსტი 1:0; დაინცე — პატრო 0:1; ინგელმუნსტერი — ვარეგემი 2:2; ტუბიცე — გეელი 0:1; ეუპენი — ოსტენდე 1:3; დეხელი — ვირტონი 2:0; ტინენი — მამე 2:2; დენდერლეუ — ვიზეტი 1:2; რონსი — რუზელარე 1:2

## ჰოლანდია

### I დივიზიონი VI ტური

**პსვ ეინდჰოვენი 0:1 ალკმაარი**
0:1 ნელისე (73)

**როზენდალი 1:1 ვოლენდამი**
0:1 ტუიპი (40), 1:1 იუსუფი (64)

**ჰერენვენი 3:0 ტვენტე**
1:0 კნოპერი (9), 2:0, 3:0 სიბონი (15, 68)

**უტრეხტი 1:3 ვიტესი**
0:1 პოფსი (13), 1:1 ტანგე (39), 1:2 ზონგო (80), 1:3 კლასენსი (83)

**ზვოლე 0:3 ფეიენოორდი**
0:1 ონო (54), 0:2 ლურლინგი (66), 0:3 ონო (68)

**ნაიმეგენი 1:2 დენ ჰააგი**
1:0 დე ნოოიერი (42), 1:1 ვან დერ გუნი (56), 1:2 სტროევი (78)

**ვალვაიკი 2:0 ბრედა**
1:0 გრინი (5), 2:0 რედანი (85)

**როდა 0:0 გრონინგენი**

**აიაქსი 6:0 ტილბურგი**
1:0 სონკო (13), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (29), 3:0 სნეიდერი (49), 4:0 სიკორა (54), 5:0 სოტერსი (68), 6:0 პიენაარი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:6 | 15 |
| პსვ | 6 | 4 | 1 | 1 | 15:6 | 13 |
| ალკმაარი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| ვალვაიკი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| ჰერენვენი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| ფეიენოორდი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| ტილბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:14 | 10 |
| ნაიმეგენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| როზენდალი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| გრონინგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| ბრედა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| როდა | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| ტვენტე | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | 6 |
| ვოლენდამი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| ვიტესი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| დენ ჰააგი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| უტრეხტი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ზვოლე | 6 | 0 | 1 | 5 | 1:10 | 1 |

### II დივიზიონი

მე-8 ტური: კამბური — ოსი 0:0; გრააფსხაპი — აპელდორნი 3:0; ეინდჰოვენი — ექსელსიორი 0:1; დენ ბოსხი — ვენლო 3:0; სიტარდი — იგლსი 1:3; ჰაარლემი — ემენი 1:2; მაასტრიხტი — ჰელმონდი 1:3; ვეენდამი — ტელსტარი 2:2; სპარტა — დორდრეხტი 1:2

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XI ტური

**ბაზელი 2:0 იანგ ბოისი**
1:0, 2:0 სტრელერი (16, 18)

**გრასჰოპერი 2:3 აარაუ**
0:1 სეოანე (22), 1:1 შპიხერი (50), 1:2, 1:3 ბიელი (51, 62), 2:3 კასტილიო (67)

**სერვეტი 3:1 ციურიხი**
1:0 პილტონი (18), 2:0 ტ. ბა (20), 2:1 მუფი (31), 3:1 ზამბრელა (38)

**სენტ გალენი 3:1 ქსამაქსი**
0:1 მფუტი (32), 1:1 მერენდა (60), 2:1, 3:1 ტაჩე-მენსა (62, 72)

**თუნი 3:2 ვილი**
1:0 აეგერტერი (30), 2:0 მ. შნაიდერი (33), 3:0 რამა (36), 3:1 რენგლი (40), 3:2 ფაბინიო (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 11 | 11 | 0 | 0 | 36:9 | 33 |
| სერვეტი | 11 | 6 | 3 | 2 | 24:19 | 21 |
| იანგ ბოისი | 11 | 6 | 1 | 4 | 20:17 | 19 |
| აარაუ | 11 | 4 | 4 | 3 | 16:15 | 16 |
| ქსამაქსი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:16 | 14 |
| სენტ გალენი | 11 | 3 | 4 | 4 | 16:18 | 13 |
| თუნი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:23 | 13 |
| გრასჰოპერი | 11 | 3 | 1 | 7 | 15:25 | 10 |
| ციურიხი | 11 | 2 | 2 | 7 | 16:18 | 8 |
| ვილი | 11 | 1 | 3 | 7 | 16:27 | 6 |

### ჩელენჯლიგა. X ტური

ივერდონი — ბელინცონა 2:2; ვოლენი — ბიულე 2:4; ანიო — კიასო 1:4; ვადუცი — კონკორდია 3:3; ბადენი — დელემონი 3:2; ლუცერნი — კრიენსი 0:4; შო დე ფონი — მეირინი 1:0; ვინტერთური — შაფჰაუზენი 0:0

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XI ტური

ადმირა — გრაცერი 1:4; შტურმი — მატერსბურგი 0:4; ზალცბურგი — ბრეგენცი 0:4; აუსტრია — კერნტენი 3:0; პაშინგი — რაპიდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 11 | 8 | 2 | 1 | 23:13 | 26 |
| აუსტრია | 11 | 6 | 4 | 1 | 20:7 | 22 |
| გრაცერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:14 | 17 |
| ბრეგენცი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:17 | 17 |
| მატერსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| ადმირა | 10 | 3 | 3 | 4 | 15:10 | 12 |
| პაშინგი | 11 | 3 | 2 | 6 | 15:22 | 11 |
| ზალცბურგი | 11 | 3 | 1 | 7 | 14:18 | 10 |
| კერნტენი | 10 | 1 | 5 | 4 | 7:19 | 8 |
| შტურმი | 10 | 1 | 3 | 6 | 9:15 | 6 |

### I დივიზიონი. XII ტური

აუსტრია (ლ) — ლუსტენაუ 0:0; ბლაიბურგი — ლინცერი 0:2; კაპფენბერგი — ტიროლი 1:1; ვიორგლი — უნტერზიბენბრუნი 1:2; რიდი — ლეობენი 4:2

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა IX ტური

ლიბერეცი — სიგმა 1:1; ბუდეიოვიცე — იაბლონეცი 3:0; ბლშანი — სპარტა 0:4; სინოტი — ოპავა 3:1; პლზენი — პრჟიბრამი 0:4; ჟიჟკოვი — ტეპლიცე 0:1; ბანიკი — ზლინი 3:0; სლავია — ბრნო 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 9 | 7 | 2 | 0 | 20:6 | 23 |
| ტეპლიცე | 9 | 5 | 4 | 0 | 14:7 | 19 |
| სპარტა | 9 | 4 | 4 | 1 | 16:5 | 16 |
| ბრნო | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| სიგმა | 9 | 4 | 3 | 2 | 15:8 | 15 |
| სლავია | 9 | 4 | 2 | 3 | 12:6 | 14 |
| ლიბერეცი | 9 | 3 | 5 | 1 | 9:5 | 14 |
| პრჟიბრამი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:9 | 11 |
| ზლინი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | 11 |
| ბუდეიოვიცე | 9 | 3 | 1 | 5 | 9:13 | 10 |
| ოპავა | 9 | 3 | 1 | 5 | 8:17 | 10 |
| სინოტი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| პლზენი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:17 | 9 |
| იაბლონეცი | 9 | 1 | 5 | 3 | 4:11 | 8 |
| ჟიჟკოვი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:13 | 7 |
| ბლშანი | 9 | 0 | 2 | 7 | 7:22 | 2 |

## მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატი

### A ჯგუფი III ტური

**აშშ 3:0 ჩრდ. კორეა**
**შვედეთი 3:0 ნიგერია**
საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ჩრდ. კორეა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ნიგერია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:11 | 0 |

### B ჯგუფი III ტური

**სამხ. კორეა 1:7 ნორვეგია**
**საფრანგეთი 1:1 ბრაზილია**
საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სამხ. კორეა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |

### C ჯგუფი III ტური

**კანადა 3:1 იაპონია**
**გერმანია 6:1 არგენტინა**
საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 13:2 | 9 |
| კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 3 |
| არგენტინა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:15 | 0 |

### D ჯგუფი III ტური

**ჩინეთი 1:0 რუსეთი**
**განა 2:1 ავსტრალია**
საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| განა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

### მეოთხედფინალის წილისყრა

1 ოქტომბერი: ბრაზილია — შვედეთი; აშშ — ნორვეგია
2 ოქტომბერი: გერმანია — რუსეთი; ჩინეთი — კანადა

## დუდუ დადიანის მემორიალი

# ჯეოსელმა თასიდან შესვა, ჩემპიონმა — ჩაიდნიდან

27 სექტემბერი. ვერის ბაღი
ფინალი

**სტუ 87:76 დინამო**

**21:19, 23:34, 18:16, 14:18**

**სტუ:** ნიკოლაძე (8), ხეცურიანი (11), დავითულიანი (8), ბაბიაშვილი (33), ოგანესიანი (13); გაგნიძე (2), მიქაძე (1), მარკოიშვილი, აბალკაცი (5), შანიძე (6)
**დინამო:** ჟღენტი (6), ხოშტარია (11), ლოსაბერიძე (13), ჩუბინიძე (2), მუშკუდიანი (15); ლივაიჩი (4), ბეჟანიშვილი (11), გამყრელიძე (3), მინაშვილი (11), კვიდია
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**მესამე ადგილისთვის**
**ბასკო 101:88 რუსთავი**
**მეხუთე ადგილისთვის**
**თსუ 102:91 მაკაბი**

დუდუ დადიანის თასის შარშან ამწევი თბილისის „დინამო" წლეულს განზე დარჩა. კომპანია „ჯეოსელის" მხარდაჭერით მომძლავრებულმა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა სეზონის პირველი ტიტულის მოსაგებად ჯერ ვიცე-ჩემპიონი „ბასკო" დაამარცხა, შემდეგ კი ფინალში ჩემპიონი „დინამოც" დაჩოქა.

ეს იყო პირველი წარუმატებლობა „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ხორვატი თავკაცისთვის. დრაჟენ ბრაიკოვიჩს ბარე მთელი ქართული კალათბურთი ჩააბარეს და ხეირიანი კლუბის შესაქმნელად ჩვენი ქვეყნის კვალობაზე იდეალური პირობებიც შეუქმნეს, თუმცა აგერ, გაცილებით მომჭირნე და ნაუცბათევად შეკრებილი „სტუ-ჯეოსელი" დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ამარცხებს ხორვატის გუნდს.

ბრაიკოვიჩმა ნამატჩევს საინტერესოდ ახსნა „დინამოს" მარცხი, გადაღლილები ვართ, თან ძლიერი გუნდის შესაქმნელად საკმარისი



სტუ-ელმა ზვიად ბაბიაშვილმა „დინამოს" 33 ქულა ჩაუგდო

დრო არ მქონდაო. მაშინ რა თქვას „დინამოს" მძლეველი „სტუ-ჯეოსელის" თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა, რომელმაც ბრაიკოვიჩზე გაცილებით გვიან შეკრიბა თითქმის სრულიად ახალი გუნდი და მოსამზადებლადაც არ ჰქონია „დინამოზე" მეტი დრო და უკეთესი პირობები.

„დინამოს" რომ წინა ხაზში უჭირს, ჯერ კიდევ „რუსთავთან" ნახევარფინალში გამოჩნდა. ერთი, რაშიც ბრაიკოვიჩის გუნდი ალბათ უკონკურენციოა, უკანა ხაზია: ირაკლი ხოშტარია, არჩილ ჟღენტი და კოტე ტუღუში მძლავრ სათამაშო რგოლს ქმნიან. სწორედ ხოშტარიას დამსახურება იყო, ბრაიკოვიჩის გუნდი ფინალში რომ გავიდა და გადამწყვეტ მატჩშიც, ცხადია, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. ეს, რა თქმა უნდა, იცოდა ნუგზარ ჭეიშვილმა და ხოშტარიას სხარტი მეურვე მიუჩინა შიო ხეცურიანის სახით. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ დინამოელთა ლიდერმა პირველ და ბოლო მეოთხედებში ბურთი ვერ ჩააგდო და საერთოდაც, ინერტულად გამოიყურებოდა.

სტუდენტებმა მეტოქის ფარზე თავიდანვე მიიტანეს იერიში, მაგრამ დავით მუშკუდიანმა და ზურაბ ჩუბინიძემ ფარქვეშ გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს ყოფილ დინამოელ არმენ ოგანესიანსა და ზვიად ბაბიაშვილს. ყოფილი სტუსელი ლაშა ლოსაბერიძეც ფეხმარდობდა და ჩემპიონებმა ორქულიანი წინ ყოფნით გაასრულეს პირველი ათწუთეული.

მცირე შესვენებიდან სტუ ხეცურიანის გარეშე დაბრუნდა, გიორგი გაგნიძე კი თავიდან ვერ აკავებდა ირაკლი ხოშტარიას და „დინამომაც" თითქოს გაილაღა (26:19). თუმცა სტუდენტებმა დროულად მიხედეს დაცვას და შორი სროლებით, რასაც დროდადრო ბაბიაშვილის მეტოქის ზონაში გაშლიგინება ენაცვლებოდა, „დინამო" გვარიანად დაჩაგრეს. სტუ-მ 4-წუთიანი მონაკვეთი 18:3 მოიგო და პირველი ტაიმის მიწურულს 11 ქულით დაწინაურდა.

„დინამომ" ფარი ზურაბ ჩუბინიძის ადრეული პერსონალურების გამო დათმო. მის ნაცვლად მოედანზე გამოსული დარიო ლივაიჩი ჩვეული თავგზააბნეულობით ჩაერთო თამაშში. ბაბიაშვილმაც მის ზონაში გაილაღა და საბოლოოდ 33 ქულა მოიხვეჭა.

მესამე მეოთხედში „დინამომ" გაიჭირვა და საკუთარი ზონა დაგაკეტა, საპასუხოდ კი სტუდენტები შორ სროლებზე გადავიდნენ და მეტოქე ახლოს აღარ გაიკარეს. ბოლო ათწუთეულში ჩემპიონების ორი გამრჯე კალათბურთელი, დავით მუშკუდიანი და ლაშა ლოსაბერიძე გავარდნენ და დინამოელთა იმედმაც საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე დალია ჩაილურის წყალი.

მესამე ადგილი ერგო ბათუმის „ბასკოს", რომელმაც საკმაოდ იოლად მოუგო „რუსთავს". მეხუთე ადგილისთვის მატჩში კი თსუ-მ „მაკაბის" შერცხვენა არ იკადრა და „მოზომილად" მოუგო.

**ირაკლი ბერტაია**





# გოგოლაძემ ამერიკული ქამარი მოი(რ)გო

**ამ კვირადღეს** მიჩიგანის შტატის ქალაქ სოლტ-სენტ-მერის „ქივადინ კაზინოში" ქართველმა მოკრივემ კობა გოგოლაძემ პროფესიულ რინგზე თავისი მეთერთმეტე და ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა ჩაატარა. ჩრდილოეთ ამერიკის ორგანიზაციის ტიტულისთვის ქართველი მოკრივე სანანტონიოელ მანუელ სეპიდას დაუპირისპირდა და თორმეტრაუნდიან ბრძოლაში ქულებით დაამარცხა.

WBO-ს ვერსიით, თავის წონაში ჩრდილოეთ ამერიკის ორგანიზაციის უძლიერეს მოკრივედ აქამდე სწორედ მანუელ სეპიდა ითვლებოდა, თუმცა გოგოლაძემ, რომელიც დარბაზში ქართულ დროშაში გახვეული შევიდა, ძლიერ მოწინააღმდეგეს ქამრის შენარჩუნების შანსი არ დაუტოვა, ტიტული წაჰგვარა და, ოკეანგაღმელ მიმომხილველთა თქმით, ამერიკული კრივის ისტორიაში ქართული ფურცელი ჩაწერა.

ბრძოლა პირდაპირი ეთერით ამერიკის ნაციონალურმა ტელევიზიამ გადასცა და დაახლოებით 30 მილიონ ამერიკელს შეეძლო, ქართველი მოკრივის გამარჯვებისთვის თვალი ედევნებინა.

ამრიგად, კობას ანგარიშზე 11 შეხვედრაში ამდენივე მოგებაა, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ორგანიზაციის ჩემპიონობამ იგი WBO-ს ვერსიის უმთავრესი ქამრის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად აქცია.



# ბელგია რუსული რაკე–ტასია

**ტაილანდის ღია პირველობა**
ბანგკოკი. ჭერქვეშა. ხარდი
საპრიზო 550 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (6, ხორვატია) 6:3, 6:3; ტეილორ დენტი (8, აშშ) — იარკო ნიემინენი (5, ფინეთი) 7:6 (7:3), 6:2**

**ფინალი**

**დენტი — ფერერო 6:3, 7:6 (7:5)**

უკვე ზედიზედ მეორე ფინალია, ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს მასზე უმცროსი ჯანიანი ამერიკელები თრგუნავენ. პირველად ეს აშშ-ის ღია პირველობაზე მოხდა, სადაც მას კარიერის პირველი სლემტიტულის მიმთვლელი ენდი როდიკი მოერია, მეორედ კი გასულ კვირას ბანგკოკში გამართულ პირველ ტაილანდობაზე. ამჯერად მისი შემმუსრავის ფუნქცია 22 წლის ტეილორ დენტმა შეასრულა, 1,87-მეტრიანმა ოტროველამ, ვისთვისაც ეს კარიერის მესამე, ხოლო სეზონის მეორე ტიტული იყო. პირველი საამსეზონო ტიტული მან თებერვალში, მემფისურ მაგარსაფარზე სწორედ ენდი როდიკის ძლევით მოიმკა.

მთელი მატჩის განმავლობაში ბურთის „გემო" ვერ გავიგეო, ჩიოდა ნაფინალევს ფერერო — ან კი როგორ უნდა გამეგო, როცა გათამაშებები 10 წამზე მეტს არ გრძელდებოდაო. ეს განსაკუთრებით დენტის მოწოდებისას გათამაშებულ ბურთებს შეეხებოდა, რადგანაც კოლობიჭმა მართლაც ვერაფერი გააწყო ზორბა იანკის აუტანელი ყუმბაროსნობის წინააღმდეგ.

ეს ფერეროს მე-20 საკარიერო ფინალი გახლდათ და 10 მოგების წილის უკვე ამდენსავე დამარცხებას მოიძევს. წლეულს მან სამი გადამწყვეტი შეხლა დათმო, ამდენივე — მონტე-კარლოში, ვალენსიასა და როლან გაროსზე მოიგო და ახლაც რომ ემარჯვა, ოთხტიტულიანი სეზონითაც იტრაბახებდა. თუმცა წინ კიდევ რამდენიმე რიგიანი ტურნირია და — ეგეც არ იყოს — ხუან კარლოსი ამ კვირაშიც ამქრის უპირველეს საფეხურზე დგას!

რაც შეეხება პარადორნ შრიჩაფანს, პირველი მშობლიური პირველობა მას მეოთხედფინალში ხორვატმა ივან ლიუბიჩიჩმა წაუმურდლა — 4:6, 7:6 (7:4), 7:5

**ჰაინეკენის ღია პირველობა**
შანხაი. მაგარსაფარი
საპრიზო 380 ათასი $

**ნახევარფინალი**

**მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:4, 6:4; ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი)— უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:7 (7:9), 6:3, 6:2**

**ფინალი**

**ფილიპუსისი — ნოვაკი 6:2, 6:1**

თავის 21-ე საკარიერო ფინალში მე-10 საკარიერო ტიტულის შოვნას მარკ ფილიპუსისმა სულ რაღაც 45 წუთი მოანდომა. ეს მისი პირველი ტიტულია 2001 წლის მემფისობის შემდეგ წლეულს მას უკვე 16 მარცხის საპირწონედ 35 გამარჯვება დაუგროვდა და ჩემპიონთა რბოლაში მე-11 ადგილიდან მერვეზე აინაცვლა. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში მან სკოტსდეილურ (მაგარსაფარი) და უიმბლდონურ (ბალახი) ფინალებშიც ითამაშა.

ირჟი ნოვაკის ბალანსი კი ნაშნხაევს 40-22-ზეა. 40 მატჩი მან ადრე მხოლოდ წინა სეზონში მოიგო, როცა წლის დამლევს შანხაის მასტერთასზე გასვლაც მოახერხა.

**სიცილიის ღია პირველობა**
პალერმო. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი ევრო

**ფინალი**

**ნიკოლას მასუ (1, ჩილე) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 1:6, 6:2, 7:6 (7:0)**

კარიერის მესამე, ხოლო სეზონის მეორე ტიტულის მოსახვეჭად ჩილელ ნიკოლას მასუს ფრანგ პოლ-ანრი მათიოსთვის სამი მატჩბურთის გაცუდება დასჭირდა. ეს უკვე მეორედ მოხდა, მასუმ ფინალში მატჩბურთების მოგერიება რომ შეძლო — პირველად ამგვარი რამ მან შარშან, ბუენოს აირესში არგენტინელი აგუსტინ კალერის წინააღმდეგ გაახერხა. წლის პირველი ტიტული კი ჩილელთა ამჟამინდელმა პირველმეჩოგნემ ჰოლანდიურ ამერსფოორტში მოიპოვა.

**SPARKASSEN CUP**
ლაიპციგი. ხალიჩა
საპრიზო 585 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) 5:7, 4:4 კლაისტერსმა [illegible] ყვიტა; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — პაოლა ვენტოკაბჩი (ვენესუელა) 6:0, 6:3**

**ფინალი**

**მისკინა — ენენ-არდენი 3:6, 6:3, 6:3**

რუსი ანასტასია მისკინა ფინაჩი მეჩოგნე ისედაც არ გახლავთ, ხოლო როცა ზედაც ბედი სწყალობს, ძალზედ სახიფათო ძალადაც იქცევა. ასე მოხდა ლაიპციგურ ჭერქვეშა ხალიჩაზე, სადაც მას თვისტომების — ლინა კრასნორუცკაიასა და ნადია პეტროვას გაიმასქნების შემდეგ კოჭმტკივან კიმ კლაისტერსთან შეხლა მოუხდა. ჩვეულებისამებრ ბომბა ფორმაში მყოფი კიმი სკვითგოგოს 7:5, 4:3 უგებდა, როცა ისედაც მტკივანი კოჭი კიდევ უფრო გაიმიზეზა და ერთი გეიმის გაჭირვებით გასრულების შემდეგ ჩოგნის დაშალითება არჩია.

აი, ფინალში კი ტასო ნაღდად შეუდარებელი იყო. მართალია, მატჩი წლეულს ორი სლემტიტულის მომგები ჟუსტინ ენენის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მერე და მერე სკვითმა შეძლო მეტოქის ბასრი იერიშებისთვის კიდევ უფრო ბასრი კონრიერიშები მოერგო.

შედეგად: კარიერის მეოთხე, ხოლო სეზონის მეორე ტიტული და ამქრის ერთ-ერთ უძლიერეს მეჩოგნესთან გამოსწორებული პირადი ანგარიში 2:3.

თავად ჟუსტინს კი, თუმცა ამ ფინალის შემდეგ სეზონის მე-8 ტიტული კვლავაც მოსაგები აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ რეიტინგის პირველობან თვისტომის, კიმ კლაისტერსისგან მხოლოდ 288 ქულაღა აშორებს.

**ლევან ბელაურაძე**

ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთხუთმეტე ეტაპი

# ჩუმად, შუმი ახმაურდა! ჩემპიონი თითქმის ჩემპიონია




**სეზონის** გასრულებამდე ორი ეტაპით ადრე გამორჩეულად მწვავე სატურნირო ვითარება შეიქნა. საჩემპიონო შანსს სამი პილოტი ინარჩუნებდა, რაც 16 წელია, არ ყოფილა.

მიხაელ შუმახერს ვადამდე კი შეეძლო გაენაღდებინა მეექვსე საჩემპიონო ტიტული, მაგრამ კვანძის გახსნა ორი კვირით, იაპონიამდე გადაიდო. შუმიმ კვალიფიკაცია ჩააფლავა და შედეგად სტარტი თავისთვის უბადრუკ მეშვიდე პოზიციიდან აიღო. კონკურენტები მასზე ბევრად წინ იდგნენ — რაიკონენი პირველ, მონტოია კი — მეოთხე სასტარტო საფეხურებზე. მეორეზე იმყოფებოდა შუმის თანაფერარელი რუბენს ბარიკელო, რომელსაც ხუთგზის ლიდერ - იმედ „წითელი ბარონის" მცველის ფუნქცია დაეკისრა. კერძოდ, ვიცე-ჩემპიონობის შანსდაკარგული რუბინიო მაქსიმალურად უნდა გაძალიანებოდა თანაგუნდელის კონკურენტებს და გვარიანად წაელიტა ქულები.

ბარიკელო თავისი როლის შესრულებას თავიდანვე აგრესიულად შეუდგა — დაძვრისთანავე ოდნავ შეყოვნებულ მონტოიას წინ ჩაუდგა და ორჯერ ტრაექტორიაც გადაუკვეთა, ერთი სიტყვით, მაგრა შეამუხრუჭა და მიხაელს მისი გასწრების საშუალება მისცა. მართალია, ამ მანევრით ბარაზილიელმა თავად სამი პოზიციით იზარალა, მაგრამ, რაც მთავარია, მიხაელის მავრის როლი უნაკლოდ შეასრულა და შედეგად უკვე პირველ მოსახვევში შუმი მეოთხე შევიდა რაიკონენის, პანისა და რალფის შემდეგ.

მესამე წრეზე მოსახვევის წინ გზაშევიწროვებულ მონტოიას „უილიამსის" ცხვირი ოდნავ შეეხო ბარიკელოს „ფერარისას" და ასფალტიდან გადაასრიალა. ქვიშაში გაჭედილმა რუბინიომ გზაზე დაბრუნება ვეღარ შეძლო. სტიუარდებმა ბრალი კოლუმბიელს დასდეს და პიტლაინზე შევლით დასაჯეს.

მიხაელს დასაწყისში საბურავების პრობლემა შეექმნა და სამი ადგილითაც ჩამოქვეითდა, მაგრამ მალე მდგომარეობა გამოასწორა და ლამის მთელი ქარავნის გასწრება შეძლო. დაახლოებით დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ წამოსული თქეშისას, სწორად შერჩეული სასაბურავე გეგმისა და თავისი უზადო ოსტატობის ხარჯზე წვიმის დიდოსტატმა შუმიმ ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშამდე აღარავისთვის დაუთმია.

ამრიგად, უმძიმეს პირობებში მიხაელ შუმახერმა რიგით 70-ე დიდი პრიზი მოიგო, და პრაქტიკულად გაინაღდა საჩემპიონო მეექვსე გვირგვინი. მონტოია გუშინწინდელმა მეექვსე ადგილმა საპირველო დავას ჩამოაშორა ვიცე-ჩემპიონობის შანსიღა დაუტოვა, რადგან ქულათა თანაბრობისას მეტი მოგების ხარჯზე ჩემპიონი შუმახერი გახდება. მეორე ადგილით კი რაიკონენმა სატიტულო მინიმალური შანსი შეინარჩუნა, რადგან თუ „სუძუკაზე" მიხაელი უქულოდ დარჩება, ხოლო „ყინულის კაცი" კიმი რბოლას მოიგებს, ჩემპიონად სწორედ იგი გამოცხადდება.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

**აშშ-ს დიდი პრიზი**
**28 სექტემბერი. ინდიანაპოლისი**
დისტანცია — 73 წრე — 306,016კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. (7) | მ. შუმახერი (ფერარი) | 1:33.35,997 (196,2 კმ/სთ) |
| 2. (1) | რაიკონენი (მაკლარენი) ჩამორჩ. | 18,258 |
| 3. (15) | ფრენცენი (ზაუბერი) | 37,964 |
| 4. (10) | ტრული (რენო) | 48,329 |
| 5. (13) | ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 56,403 |
| 6. (4) | მონტოია (უილიამსი) | 1 წრით |
| 7. (17) | ფიზიკელა (ჯორდანი) | 1 წრით |
| 8. (16) | უილსონი (იაგუარი) | 2 წრით |
| 9. (9) | და მატა (ტოიოტა) | 2 წრით |
| 10. (19) | ფერსტაპენი (მინარდი) | 4 წრით |
| 11. (20) | კიესა (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (12) | ვილნევი (BAR) | გაიარა 64 წრე |
| (18) | ფირმენი (ჯორდანი) | 50 |
| (8) | კულჰარდი (მაკლარენი) | 47 |
| (6) | ალონსო (რენო) | 45 |
| (11) | ბატონი (BAR) | 40 |
| (3) | პანი (ტოიოტა) | 28 |
| (14) | ვებერი (იაგუარი) | 21 |
| (5) | რ. შუმახერი (უილიამსი) | 21 |
| (2) | ბარიკელო (ფერარი) | 2 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რაიკონენი 1.11,670 (210,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ.შუმახერი 1.11,473 (211,1 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ. ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბერი | აშშ 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 4 | 6 | 5 | 2 | 1 | 10 | 10 | | 92 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | 8 | 3 | – | 5 | 6 | – | 8 | 5 | 8 | | 83 |
| 3 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | 10 | 6 | 8 | 8 | 8 | 10 | 6 | 8 | 3 | | 82 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2. | 5 | 4 | 3 | 5 | 8 | 10 | 10 | – | – | 5 | – | – | | 58 |
| 5 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | 1 | 4 | 6 | 2 | 10 | – | – | 6 | – | | 55 |
| 6 ალონსო რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | 4 | 5 | 5 | – | – | 5 | 10 | 1 | – | | 55 |
| 7 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | 2 | – | – | 4 | 4 | 8 | 4 | – | – | | 45 |
| 8 ტრული რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | 1 | 3 | – | – | – | 3 | 6 | 2 | – | 5 | | 29 |
| 9 ვებერი იაგუარი, ავსტრალია | – | – | – | – | 2 | 2 | – | 2 | 3 | 3 | – | – | 3 | 2 | – | | 17 |
| 10 ფრენცენი ზაუბერი, გერმანია | 3 | – | 4 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | | 13 |

ფიზიკელა (ჯორდანი), ბატონი (B.A.R) — 12; და მატა (ტოიოტა) — 8; ჰაიდფელდი (ზაუბერი), პანი (ტოიოტა), ვილნევი (B.A.R) — 6; ჯენე (უილიამსი) — 4; ფირმენი (ჯორდანი), უილსონი (მინარდი) — 1 ქულა



VUELTA A ESPAÑA'03 ვუელტა 2003 6 - 28 სექტემბერი


REUTERS

რობერტო ერასი მეორედ ზეიმობს მშობლიურ ტიტულს

# ესპანეთი ერასია

**29 წლის** ესპანელმა რობერტო ერასმა მეორედ მოიგო მშობლიური მრავალდღიური — ველოტური შარშანწინდელ ჩემპიონობას წლევანდელი ტრიუმფი მიამატა.

ერასი ჭეშმარიტი ველომრბოლია, 13 წლისა უკვე მყარად იჯდა ველოზე. მაშინ უკვე წამოჩიტულმა რობერტომ თურმე მამამისს სანაძლეო მოუგო და ბონუსად პირველი ორთვალა მიიღო. 1995 წელს ერასმა პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა „კელმესთან" და იქიდან მოყოლებული უპრესტიჟულესი ტურების გამორჩეული მრბოლია. კუნთმაგარ, გამძლე ერასს განსაკუთრებით მთებზე სიარული ეხერხება და აკი „მთის კაციც" შეერქვა.

სწორედ „მთის კაცობამ" მოაგებინა ერასს წლევანდელი ვუელტა. არადა, მე-4 ეტაპიდან მოყოლებული საერთო ჩათვლას ეროსკელი ისიდრო ნოსალი ლიდერობდა, რომელსაც ერასმა ყვითელი მაისურა ზედ ბოლო ეტაპის წინ დაათმობინა.

ეს ბოლოსწინა ეტაპი სულ რაღაც 11-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იყო, მრბოლებს პირველი კატეგორიის მთა უნდა გადაელახათ. სწორედ ამ ეტაპს უნდა გაერკვია, ვინ გაიმარჯვებდა ვუელტაზე, რაკი მადრიდის ეპილოგი ვერაფერს შეცვლიდა.

ბოლოსწინა ეტაპამდე ნოსალი ერასს 1,28 წუთს უგებდა, მაგრამ ნოსალმა, რომელსაც ალმა სვლა ვერ ეხერხება, ძალიან ცუდად იარა და ოცეულშიც ვერ მოხვდა. ერასმა კი პირიქით, ბოლომდე ამუშავა თავისი ზორბა კუნთები და საჩემპიონო დრო აჩვენა. ეპილოგის წინ ახლა უკვე ერასი დაწინაურდა, თანაც მთელი 28 წამით, ეს კი პრაქტიკულად საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა და მადრიდული რბოლა — მთლად ფორმალობას ნუ დავარქმევთ და — ჩემპიონის ტრიუმფალური სვლა იყო. ესპანეთის სამეფოს სატახტოს გარშემო სპრინტერებს 8 წრე უნდა შეესრულებინათ და ამ საკმაოდ გრძელ, მაგრამ უალმართო გზაზე არც ნოსალი იყო ერასის დამწევი და მითუმეტეს არც სხვა მდევრები. 7 წრის შემდეგ თავად მრბოლებს მობეზრდათ პედლების უაზროდ ტრიალი და მათმა უმეტესობამ მოძრავი კამერების წინ „პოზირებით" დაასრულა ვუელტა.

სამაგიეროდ, იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ პირადი რეკორდის გაუმჯობესება გადაწყვიტა. ვუელტას ბოლო, მისთვის კი მე-5 ეტაპის მოგებით წლევანდელი მრავალდღიურების პირადი მონაგარი 15 ეტაპამდე გაზარდა.

**ბაჩო სვანიძე**

**XX ეტაპი. 27 სექტემბერი**
**უსკორეალი — აბანტოსი 11კმ**
1 რობერტო ერასი (ესპანეთი, US-პოსტალი) 25 წთ 8 წმ
2 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) +14 წმ
3 ფელიქს კარდენასი (კოლუმბია, ლაბარკა) იგივე დრო
4 ფაბიან ჟეკერი (შვეიცარია, მილანეზა) +15 წმ
5 სანტოს გონსალესი (ესპანეთი, დომინა ვაკანსე) +22 წმ

**XXI ეტაპი. 28 სექტემბერი**
**მადრიდი 130კმ**
1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3 სთ 51 წთ 19 წმ
2 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 ფრედ როდრიგესი (აშშ, დიუვალი)
4 ალექსანდრე უსოვი (ბელარუსი, ფონაკი)
5 ანხელ ედუ (ესპანეთი, მილანეზა) ყველა იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**
1 რობერტო ერასი (ესპანეთი, US-პოსტალი) 65 სთ 40 წთ 33 წმ
2 ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) +28 წმ
3 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) +2 წთ 25 წმ
4 იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ეროსკი) +3 სთ 27 წთ
5 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, იბანესტო) +4 წთ 47 წმ

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დეალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge